პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 229 (5030) | ოთხშაბათი, 6 ოქტომბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

## დღეს გაზეთშია:

გუშინ თბილისში გაიხსნა საქართველოს ლენინური კომკავშირის XIII ყრილობა.
ორგანიზებულად ჩავატაროთ წინასადღესასწაულო ბაზრობა (მოწინავე)
ამხ. ლიტვინოვის გამოსვლა ერთა ლიგის პლენარულ სხდომაზე (1-ლი გვ.)
ი. ილფი და ე. პეტროვი—აი, როგორია ბურჟუაზიული დემოკრატია (ნაწყვეტი წიგნიდან. მე-2 გვ.)
გერონტი ქიქოძე — შოთა რუსთაველი (მე-3 და მე-4 გვ.)
სიმონ ჩიქოვანი — ვეფხის ტყავი რუსთაველის პოემაში (მე-3 გვ.)
ირაკლი აბაშიძე — რუსთაველის სახე სვეტებიან დარბაზში (ლექსი. მე-3 გვ.)
დ. დემეტრაძე—„ოტელო“ რუსთაველის თეატრში (მე-4 გვ.)
საფრანგეთის კომპარტიის მიმართვა საფრანგეთის ხალხისადმი (1-ლი გვ.)
ანტიფაშისტური დემონსტრაცია ინგლისში (1-ლი გვ.)
ომი ჩინეთში (1-ლი გვ.)
ჩინეთის დელეგაციის ნოტა ერთა ლიგას (1-ლი გვ.)

## ორგანიზებულად ჩავატაროთ წინასადღესასწაულო ბაზრობა

მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება დიდი ოქტომბრის პროლეტარული რევოლუციის XX წლისთავის შესახვედრად. ამ დიადი ისტორიული თარიღის აღსანიშნავად ფაბრიკა-ქარხნებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაიშალა წინასაოქტომბრო ლაშქრობა. მრეწველობისა და საკოლმეურნეო მინდვრების ათასობით სტახანოველები და სტახანოველი ქალები ჩაებნენ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში და სოციალისტური შრომის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევიან.

მიმდინარე წელს ჩვენმა ქვეყანამ საუცხოო მოსავალი მიიღო. სოციალისტური სოფელი ქალაქს აწვდის დიდძალ სასურსათო პროდუქტებს. დღითი-დღე ფართოვდება საკოლმეურნეო პროდუქტების შემოტანა ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ბაზრებზე. მეორე მხრივ, ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით უშვებენ ფართო მოხმარების საგნებს, რაც სწრაფად უნდა იქნას მიტანილი მომხმარებლამდე.

ასეთ პირობებში ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების წინაშე უაღრესად დიდი და პასუხსაგები ამოცანა დგას. **„ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კიდევ უფრო მეტად გავშალოთ საბჭოთა ვაჭრობა, ჩავაბათ ამ საქმეში ადგილობრივი მრეწველობა, გავაძლიეროთ საკოლმეურნეო-გლეხური ვაჭრობა და საბჭოთა ვაჭრობის აღმავლობის დარგში ახალ გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწიოთ“** (სტალინი).

ამჟამად, უხვი მოსავლის დროს, საბჭოთა მომხმარებლის სულ უფრო და უფრო მზარდი მოთხოვნილების პირობებში, ჩვენ სრულიად ვერ დაგვაკმაყოფილებს საქონელბრუნვის ზრდის წინანდელი ტემპები. ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ბედნიერ მშრომელებს, განსაკუთრებით ახლა, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XX წლისთავის აღსანიშნავი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის დროს, სურთ კიდევ უფრო ძვირფასად და ლამაზად ჩაიცვან.

მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში სავაჭრო დარგის სტახანოველთა საერთო თათბირმა გადასწყვიტა ჩაება წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოწოდებით მიმართა სავაჭრო დარგის ყველა მუშაკს ვადამდე შეასრულონ საქონელბრუნვის მიმდინარე წლის გეგმა და სანიმუშოდ დააყენონ კულტურული ვაჭრობა მთელ საქონელგამტარ ქსელში.

მათ მოწოდებას გამოეხმაურნენ სავაჭრო დარგის მოწინავე მუშაკები ჩვენი ქვეყნის მრავალი სხვადასხვა კუთხიდან. ამ მძლავრ მოძრაობაში, რომლის მთავარი მიზანია საბჭოთა მომხმარებლისადმი მომსახურების გადაჭრით გაუმჯობესება, ცენტრალური ადგილი უჭირავს წინასადღესასწაულო ბაზრობების ორგანიზებულად მოწყობასა და ჩატარებას.

საქართველოს როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაციების, პირველ რიგში კი შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელთა ცუდი მუშაობის შედეგად, საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციები ფაქტიურად აქამდე არ არიან ჩაბმულნი წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში.

სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, სავაჭრო ქსელის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები სუსტად იბრძვიან სავაჭრო-კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) მეათე ყრილობის მიერ მოცემულ დავალებათა შესასრულებლად.

ამხ. ლავრენტი ბერია საქართველოს ბოლშევიკთა მეათე ყრილობაზე ამბობდა:

**„უნდა მივაღწიოთ საქონელბრუნვის შემდგომ გაშლას, ასორტიმენტის გაფართოებას, გასასყიდი საქონლის ხარისხის ამაღლებას, დატაცებისა და გაფლანგვის სრულ ლიკვიდაციას და მომხმარებლის უკეთეს მომსახურებას, ცალკეული რაიონების თავისებურებათა გათვალისწინებით“.**

სავაჭრო ორგანიზაციებში, როგორც კოოპერატიული, ისე სახელმწიფო ვაჭრობის ხაზით ჯერ კიდევ სჭარბობს ხელმძღვანელობის ბიუროკრატიულ-კანცელარიული მეთოდები. მუშაობის ოპერატიული სტილი და მშრომელთა მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება ჯერ კიდევ არ გამხდარა ზოგიერთი სავაჭრო დარგის მუშაკთა დამახასიათებელ თვისებად.

საქალაქთაშორისო ბაზრობანი წინასწარი სერიოზული მოსამზადებელი მუშაობის ჩაუტარებლად — ცარიელი ლაყბობაა. ეს უბრალო ჭეშმარიტება, როგორც ჩანს, არ ესმით საქ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელებს, რომლებიც საოცარი გულგრილობითა და სიმშვიდით უცქერიან დაუშვებელ ჩამორჩენას წინასადღესასწაულო საქალაქთაშორისო ბაზრობათა მომზადების საქმეში. საქ. შინავაჭრობის სახ. კომისარიატის ხელმძღვანელი მუშაკები მთელი სექტემბრის მანძილზე მოუნდნენ ბაზრობების ჩატარების გეგმის შედგენას, ხოლო ამ მიმართულებით საჭირო პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა დღემდე ვერ მოუხერხებიათ. სავაჭრო ორგანიზაციები კი მათ შეჰყურებენ და დირექტივების მიღებას უცდიან.

ასეთი მდგომარეობის შედეგად საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში არსებული მაღაზიები და ბაზრები სრულიად მოუმზადებელი და მოუწყობელი ხვდებიან წინასადღესასწაულო ბაზრობებს. თითქმის არსად არ გაუდიდებიათ მაღაზიების, ფარდულების, დუქნებისა და მოძრავი სავაჭროების რაოდენობა, არ მომხდარა ბაზრების კეთილმოწყობა, საწყობების შეკეთება-გაფართოება და სხვ.

წინასადღესასწაულო ბაზრობების დაწყებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა; თბილისში იგი დაიწყება 20 ოქტომბრიდან, ხოლო ზოგიერთ რაიონულ ცენტრებში კიდევ უფრო ადრე. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ დარჩენილი დრო მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად.

აუცილებლად საჭიროა გადაწეულ იქნას წინასადღესასწაულო ბაზრობების დაწყების ვადები იმ რაიონულ ცენტრებში, რომლებიც ველარ ასწრებენ სერიოზული მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებას.

კოლმეურნეებს, რომლებიც ბაზრებში თავიანთ უხვ პროდუქტებს შემოიტანენ, უნდა მოვუწყოთ კულტურული მომსახურება. ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ მათთვის ღამისგასათევ ბინებზე. გარდა ამისა, საჭიროა ბაზრებში წინასწარ მოეწყოს წითელი კუთხეები, სადაც სპეციალურად გამოყოფილმა აგიტატორებმა კონსულტაცია უნდა გაუწიონ კოლმეურნეებს აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე, პირველ რიგში კი განუმარტონ მათ სტალინური კონსტიტუციისა და ახალი საარჩევნო კანონის შინაარსი.

მილიციის ორგანოებმა გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ სპეკულანტებსა და გადამყიდველებს.

გადაჭრით უნდა აღიკვეთოს ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაციის მისწრაფება გამოიტანოს ბაზარზე ძნელად სარეალიზაციო და ჩაწოლილი საქონელი, ნაცვლად პირველხარისხოვანი საქონლისა.

წინასადღესასწაულო ბაზრობებზე დიდი რაოდენობით უნდა გავიტანოთ მხოლოდ საუკეთესო ასორტიმენტისა და მაღალი ხარისხის საქონელი.

ყველაფერი უნდა ავამოქმედოთ, რათა საქონელი დავუახლოვოთ მოსახლეობას.

წინასადღესასწაულო ბაზრობების მაღალორგანიზებულად და წარმატებით ჩატარება, — ეს იქნება სავაჭრო დარგის მუშაკთა უნარიანობისა და კულტურის შემოწმება.

## გაიხსნა საქართველოს კომკავშირის XIII ყრილობა

5 ოქტომბერს, საღამოს 6 საათსა და 30 წუთზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიხსნა საქართველოს კომკავშირის XIII ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. მირცხულავამ.**

ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს.

**სტალინი!**

ყრილობის ყველა მონაწილენი ფეხზე დგებიან და მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან ახალგაზრდობის უსაყვარლესი მეგობრისა და მასწავლებლის — დიდი **სტალინის** დასახელებას.

ყოველი მხრიდან მოისმის მისასალმებელი შეძახილები:

გაუმარჯოს დიდ **სტალინს! ვაშა!** ურა!

დიდ ბელადს, მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს** — კომკავშირული ვაშა!

და კვლავ ჰქუხს ოვაცია. ყრილობის დელეგატები ტაშს უკრავენ იმას, ვინც მისცა ახალგაზრდობას სიხარულით აღსავსე, ბედნიერი ცხოვრება, ვისიც უსაზღვროდ ერთგულია სტალინური ახალგაზრდობა.

ტაშის გრიალი არ სწყდება. შემდეგ—საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ ამხანაგებს: **მოლოტოვს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, კალინინს, ანდრეევს, მიქოიანს, ჟდანოვს, ეჟოვს, ბერიას, ჩუბარს, დიმიტროვს, ტელმანს, ხოზე დიასს.**

საქმიან პრეზიდიუმში ყრილობამ აირჩია 19 კაცი. მათ შორის ორდენოსანი ტრაქტორისტი ამხ. **გრიგოლაშვილი,** აჭარელი მფრინავი ქალი ფადიკო **გოგიტიძე** და სხვ.

ყრილობამ აირჩია სამანდატო კომისია 7 კაცისა და სამდივნო 5 კაცის შემადგენლობით.

ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის შემდეგ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ალკკ ც. კ-ის მდივანი ამხ. **ა. მირცხულავა.**

ყრილობას 435 დელეგატი ესწრება.

# ომი ჩინეთში

## ბრძოლები ლოდიან-ლუხანის უბანზე

**შანხაი,** 4 ოქტომბერი (საკდესი). 3 ოქტომბერს საღამოს იაპონელთა ჯარებმა გაძლიერებული საარტილერიო სროლა აუტეხეს ჩინელთა თავდაცვის ახალ ხაზს ლოდიან-ლუხანის გზატკეცილის უბანზე. 4 ოქტომბერს საარტილერიო მომზადების შემდეგ იაპონელებმა იქ მასობრივი იერიში მიიტანეს ჩინელთა პოზიციებზე. ჩინეთის ჯარებმა, მიუხედავად დიდი დანაკლისისა, შეინარჩუნეს თავისი პოზიციები. იაპონელთა ჯარებმა გაძლიერებული ბომბარდირებით დაანგრიეს ჩინელთა თავდაცვის ხაზი ტინძიაძესა და ჩუნსინკოს უბანზე, ლოდიან-ლუხანის გზის დასავლეთით. ჩინელთა ჯარებმა დაიჭირეს ახალ პოზიციებზე ტინძიაძესა და ბაიშაოს შუა.

ჩინელთა შტაბის ცნობებით, ჩინელთა დაზვერვამ მოახერხა შესულიყო დასავლეთის საზღვრით სამოქალაქო ცენტრის რაიონში. დაზვერვამ გამოარკვია, რომ იაპონელები აქ გამაგრდნენ გოხე-როდის რაიონში, სტადიონის აღმოსავლეთით.

4 ოქტომბერს იაპონელთა სულ მცირე 20 თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა შანხაი-ძიანვანის, დაჩენის, ჩაპეის, ჩენჟუსა და ნანსიანის რაიონებს.

## იაპონელი დამსჯელი რაზმის შეტაკება პარტიზანებთან

**ტოკიო,** 4 ოქტომბერი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტოს ხარბინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 29 სექტემბერს ბინძიანის პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მოხდა იაპონელთა დამსჯელი რაზმის შეტაკება პარტიზანულ რაზმთან. პარტიზანთა რაზმში ითვლება 50 მებრძოლი. იაპონელთა რაზმს ბრძოლაში მოუკლეს ერთი ჯარისკაცი.

## დომეი ცუსინის სააგენტო შანხაის ფრონტის ბრძოლების შესახებ

**ტოკიო,** 4 ოქტომბერი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო სწერს, რომ 4 ოქტომბერს შანხაის ფრონტზე „ყველაზე უფრო დიდი გაафთრებული ბრძოლები იყო მას შემდეგ, რაც საომარი მოქმედება დაწყებულა“. ეს ბრძოლები ყველაზე უფრო სისხლისმღვრელი იყო ჩაპეისა და ლუძიახანის სექტორებში. სააგენტო აღნიშნავს, რომ ორივე სექტორში ბრძოლები დაიწყო ჩინელთა ჯარების ინიციატივით. ლუძიახანის სექტორში ჩინეთის ჯარებმა, სააგენტოს სიტყვით, დაიწყეს შეტევა 3 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე. ბრძოლა მთელს ღამესა და დილას გაგრძელდა. სააგენტო აღნიშნავს, რომ 3 ოქტომბერს იაპონელთა მარტო ერთმა ნაწილმა დაჰკარგა 4 ოფიცერი.

ჩაპეის სექტორში ჩინეთის ჯარები 4 ოქტომბერს დილის 11 საათზე გადავიდნენ შეტევაზე იაპონელთა პოზიციების წინააღმდეგ, რომლებიც მდებარეობენ ნორტ სიჩუან-როდის ქუჩაზე. ჩინეთის ჯარების შეტევას დახმარებას უწევენ არტილერია და ტყვიამფრქვევები.

## ჩინეთის დელეგაციის ნოტა ერთა ლიგას

**ჟენევა,** 4 ოქტომბერი (საკდესი). ჩინეთის დელეგაციამ დღეს ერთა ლიგის გენერალურ მდივანს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ჩამოთვლილია მთელი რიგი ახალი მხეცობანი, რაც იაპონიის შეიარაღებულმა ძალებმა ჩინეთში ჩაიდინეს. მათ შორის — გუანდუნის პროვინციის ქალაქ ტინიუანის ბომბარდირება 26 სექტემბერს (მოკლულია და დაჭრილია 200-ზე მეტი კაცი), ნანკინის ბომბარდირება იმავე დღეს (მოკლულია და დაჭრილია არანაკლებ 600 კაცისა სამოქალაქო მოსახლეობიდან), ჩინელთა 12 თევზსაჭერი ნავის ჩაძირვა იაპონელთა წყალქვეშა ნავის მიერ (ცოლ-შვილიანად დაიღუპა 300-ზე მეტი მეთევზე), ასეთივე მხეცური აქტი გუანდუნის ნაპირების მახლობლად და სხვ.

ნოტა ხაზს უსვამს, რომ იაპონიის ავიაცია განაგრძობს თავის თავდასხმებს ჩინეთის დაუცველ ქალაქებზე, მიუხედავად იმ რეზოლუციისა, რომელიც მიიღო ერთა ლიგის პლენუმმა 28 სექტემბერს.

## იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

**ტოკიო,** 4 ოქტომბერი (საკდესი). იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა კვლავ განუცხადა დღეს უცხოეთის კორესპონდენტებს, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა ნაბიჯებს გადასდგამს ერთა ლიგა მომავალში, „მისი არცერთი მოქმედება და რეზოლუცია არ შეეხება იაპონიას, რამდენადაც იაპონია არ არის ერთა ლიგის წევრი. ყოველ შემთხვევაში ამ ორგანიზაციის ვერცერთი მოქმედება და ვერცერთი რეზოლუცია ვერ შესძლებს აიძულოს იაპონია ხელი აიღოს მის მიერ აღებულ სამოქმედო კურსზე“.

## საფრანგეთის კომპარტიის მიმართვა საფრანგეთის ხალხისადმი

**პარიზი,** 4 ოქტომბერი (საკდესი). კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება „საფრანგეთის ხალხისადმი“ მომავალ საკანტონო არჩევნებთან დაკავშირებით. კომპარტია მიმართავს ყველას, ვინც მისწრაფის მშვიდობიანობისა და წესრიგის დაცვისაკენ, წარმოების ზრდისა, ქვეყნის ფინანსიური გაჯანსაღებისა, სოციალური კანონმდებლობის დაცვისა და მშრომელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ. კომპარტია მოუწოდებს დახმარება აღმოუჩინონ სახალხო ფრონტს, რომელმაც საკადრისი პასუხი გასცა საფრანგეთის ფაშისტებს, დახმარება გაუწია მუშათა კლასსა და გლეხობას, თავისი მდგომარეობის გაუმჯობესების მიღწევაში, რომელიც ცდილობს მისცეს პენსიები მოხუც მშრომელებს, დააწესოს გადასახადთა სწორი განაწილება, აღმოფხვრას სპეკულაცია და შექმნას საზოგადოებრივი ფონდი სოფლის მეურნეობაში სტიქიურ უბედურებებთან საბრძოლველად. შემდეგ მოწოდებაში ნათქვამია, რომ საფრანგეთი მისწრაფის მშვიდობიანობისაკენ, რაც შეიძლება შენარჩუნებულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ უზრუნველყოფილი იქნება ხალხთა სრული დამოუკიდებლობა და მოეწყობა კოლექტიური უშიშროება ურთიერთდახმარების პაქტების სისტემის გაფართოებით, იმ პაქტის მსგავსად, რომელიც საფრანგეთმა სსრ კავშირთან დასდო. მოწოდება აღნიშნავს, რომ საჭიროა ერთიანობა მთელი ხალხისა, რომელსაც სახალხო ფრონტი წარმოადგენს. „კომუნისტები,— ნათქვამია მოწოდებაში,—ძმურ ხელს უწვდიან ყველას, ვინც იბრძვის კაცობრიობის ცხოვრებისა და ღირსების დასაცავად თანამედროვე ბარბაროსთა თავდასხმების წინააღმდეგ“. დასასრულ მიმართვა მოუწოდებს ამომრჩევლებს ხმა მისცენ სახალხო ფრონტის სიებს.

## იტალიელი ჯარების გაგზავნა ესპანეთს

**პარიზი,** 4 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთის პრესის ცნობით, იტალიის მე-26 საარმიო კორპუსიდან ესპანეთს ჰგზავნიან 7000-ზე მეტ ჯარისკაცს 200 ოფიცრის მეთაურობით.

„სე სუარი“ აცხადებს, რომ ამ ჯარების გაგზავნა ისე ხდება, ვითომც იტალიელი ჯარისკაცები ტრიპოლიტანიასა და ლივიაში იგზავნებოდნენ. იმავდროულად ესპანეთს იგზავნება თვითმფრინავები, საზენიტო ბატარიები, ტანკები და საომარი საჭურველი.

## ამხ. სლავუცკის მიღება იაპონიის იმპერატორის მიერ

**ტოკიო,** 4 ოქტომბერი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ 4 ოქტომბერს იაპონიის იმპერატორმა სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის იაპონიაში ამხ. სლავუცკის პატივსაცემად გამართა საუზმე. საუზმის შემდეგ იმპერატორსა და ამხ. სლავუცკის შორის გაიმართა მოკლე საუბარი.

## მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის ელჩი ბ-ნი ზდენეკ ფირლინგერი

5 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის ახლად დანიშნული საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ზდენეკ ფირლინგერი.

ბელორუსიის ვაგზალზე ბ-ნ ფირლინგერს შეხვდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის ძღოლებითი ამსრულებელი ამხ. ს. ი. ვოლკი და ჩეხოსლოვაკიის მისიის შემადგენლობა მოსკოვში საქმეთა რწმუნებულის ბ-ნი შუსტის მეთაურობით (საკდესი).



თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონთა სარემონტო ქარხნის ლითონსადნობი საამქროს ახალწვეულები, სტახანოველები, კომკავშირელები (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხ. გ. ი. მაღრაძე, ქ. გ. მდივანი და რაზმაძე.
ფოტო ი. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

# კამათი ერთა ლიგის მომავალი მუშაობის საკითხებზე

## ამხ. მ. მ. ლიტვინოვის გამოსვლა

### ერთა ლიგის პლენარული სხდომა

**ჟენევა,** 4 ოქტომბერი (საკდესი). დღევანდელ საღამოს სხდომაზე ერთა ლიგის პლენუმმა განიხილა „ოცდარვის კომიტეტის“ რეზოლუცია იმის შესახებ, რომ საბჭოს დაევალოს „განიხილოს პირობები, შესაფერ გარემოებათა არსებობისას იქნას მიღებული ინფორმაცია ლიგის არაწევრთა შენიშვნებზე პაქტის შესახებ“. ეს რეზოლუცია ფაქტიურად უარჰყოფს ჩილის დელეგატის ედვარდსის მოთხოვნას, რომ ეს საკითხი პლენუმს დაუყოვნებლივ განეხილა. გამოვიდა რა თავისი წინადადების დასაცავად, ჩილის დელეგატი ედვარდსი ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს მის „წინადადებას მხედველობაში არ ჰქონდეს რომელიმე არდამსწრე სახელმწიფო“. ამასთან მან მეტად უხეშად გაილაშქრა სსრ კავშირის მისამართით და განაცხადა, რომ ჩილის დელეგაციამ ერთა ლიგის სხვა წევრებთან ერთად 1934 წელს ხელი მოაწერა სსრ კავშირის მიწვევას ლიგაში შესვლის შესახებ ლიგის „უნივერსალობის“ იმავე მოსაზრებათა ძალით, რომლებიდანაც ჩილის დელეგაცია გამოდის ახლაც თავის ხსენებულ წინადადებაში. ედვარდსი იმასაც კი ცდილობდა, რომ თავისი წინადადება გაეძლიერებინა ამხ. ლიტვინოვის მთელ რიგ სიტყვებზე მითითებებით, რომლებშიც ამხ. ლიტვინოვი აღნიშნავდა საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას და როლს საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის.

ედვარდსს საკადრისი პასუხი გასცა ამხ. **ლიტვინოვმა,** რომელმაც განაცხადა: არ ვაპირებდი გამოსვლას, რადგან უნივერსალობის საკითხზე უკვე შევჩერდი ჩემს პირველ სიტყვაში პლენუმზე. მაგრამ ედვარდსის გამოსვლა მაიძულებს ვთქვა ორიოდე სიტყვა, რამდენადაც ამ გამოსვლას შეუძლია გამოიწვიოს გაუგებრობანი უნივერსალობის საკითხში.

არავინ არასოდეს არ უარჰყოფდა, — სთქვა ამხ. ლიტვინოვმა, — ერთა ლიგის უნივერსალობის საჭიროებას და დიდ მნიშვნელობას. არავინ არასოდეს არ გამოდიოდა და არც შეეძლო გამოსულიყო იმის წინააღმდეგ, რომ ლიგაში მოეწვიათ ყოველი სახელმწიფო, რომელიც ლიგის წევრი არ არის, დამოუკიდებლად სახელმწიფოს შინაური რეჟიმისა, თუ კი იქნებოდა სულ მცირედი რწმენა მაინც, რომ ამ სახელმწიფოს მართლაც სურს შევიდეს ლიგაში და მიიღოს მისი პაქტი. ედვარდსმა მოიხსენია ის მიმართვა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გაეგზავნა ზოგიერთ სახელმწიფოს — ლიგის არაწევრთ, მათ შორის სსრ კავშირსაც. ამხ. ლიტვინოვი მოაგონებს პლენუმს, რომ როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მიწვევა გაეგზავნა სსრ კავშირს, თურქეთსა და სხვა სახელმწიფოებს იმიტომ, რომ ლიგის წევრებმა უკვე იცოდნენ ამ სახელმწიფოთა გახრახვა შესულიყვნენ ერთა ლიგაში და მიეღოთ მისი პაქტი ყოველგვარ წინასწარ პირობათა და ცვლილებათა გარეშე.

ამრიგად, ამ შემთხვევას არაფერი აქვს საერთო ჩილის დელეგატის მიერ დასმულ საკითხთან იმის შესახებ, რომ შეეკითხონ ლიგის არაწევრებს, თუ რა აზრისა არიან ისინი ლიგის მომავალი მუშაობის შესახებ. როცა ლიგის პაქტს ამუშავებდა სახელმწიფოთა განსაზღვრული ჯგუფი, ისინი არ შეჰკითხებიან ლიგის არაწევრებს, თუ რა აზრისა იყვნენ ისინი ამ პაქტის შესახებ. 10 წლის განმავლობაში სწარმოებდა პაქტის გადამუშავება და შეცვლა და არავის უფიქრია იმაზე, რომ ამასთანავე გაეგოთ იმ სახელმწიფოთა აზრი, რომელნიც ერთა ლიგის გარეშე იყვნენ. ამხ. ლიტვინოვი ამბობს, ჩემთვის უცნობია, რომ ამ დროს ჩილის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს წამოეყენებინოს წინადადება, რათა დაეგზავნათ ანკეტა ლიგის არაწევრებისათვის და გაეგოთ მათი აზრი.

ჩილის დელეგატს რომ თუნდაც არაოფიციალურად ეცნობებინა, — განაცხადა ამხანაგმა ლიტვინოვმა, — რომ ესათუის სახელმწიფო მზად არის არსებული პაქტის საფუძველზე შევიდეს ლიგაში და რომ იგი მოელის მიწვევას ლიგაში შესვლის შესახებ, მაშინ საბჭოთა მთავრობა პირველი მოაწერდა ხელს ასეთ მიწვევას.

ამხ. ლიტვინოვმა მოაგონა პლენუმს, რომ ეჭვი ჩილის დელეგაციის წინადადების მიზანშეწონილობაში მან უკვე გამოსთქვა თავის პირველ გამოსვლაში პლენუმზე. იმან კი, რაც ამის შემდეგ მოხდა, მხოლოდ განამტკიცა მისი ეჭვები. ახლა იგი კიდევ უფრო დარწმუნებულია, რომ ჩილის წინადადებანი არ არის დროული. უკვე „23-ის კომიტეტში“ მოხდენილ იქნა ცდა, რათა ლიგის არაწევრი სახელმწიფონი მიწვეული ყოფილიყვნენ მონაწილეობის მისაღებად მის მუშაობაში. ამ ცდის ერთადერთი შედეგი იყო კომიტეტის მიერ 5 დღის უმიზნოდ დაკარგვა. უკანასკნელი დღეების მოვლენებმა დაამტკიცეს, რომ ლიგას არ ძალუძს აწარმოოს პრაქტიკული მუშაობა თავისი ძირითადი მიზნების მისაღწევად — აიძულოს პატივი სცენ მშვიდობიანობას, ერთა ლიგის წევრ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას — სრულიადაც არა იმიტომ, რომ უნივერსალობა არ არსებობს, არამედ თვით ლიგის წევრთა შორის არსებულ უთანხმოებათა გამო. ისეთ საკითხებზე, რომელთა შესახებაც, თითქოს, არავითარი დავა არ უნდა იყოს, რომელთა შესახებაც თვით ფაქტები მეტყველებენ თავისთავად, პლენუმმა ვერ შესძლო გამოეტანა გადაწყვეტილებანი, რომელნიც რაიმე პრაქტიკულ მოქმედებას ითვალისწინებდნენ. ზოგიერთნი ეწინააღმდეგებოდნენ ყოველგვარ მოქმედებას, სხვების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ ამჯობინა თავი შეეკავებინა ხმის მიცემისაგან. თავისთავს რომ შეეკითხო, შეიტანა თუ არა ლიგის არაწევრთა დასწრებამ მეტი ერთიანობა გადაწყვეტილებათა მიღებაში, ხელი შეუწყო თუ არა ლიგის არაწევრთა დასწრებამ ჩვენი სიძნელეების დაძლევას, — ამ კითხვებზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. პირიქით, იგი მხოლოდ გააღრმავებდა უთანხმოებებს, გაადიდებდა იმ წევრთა რიცხვს, რომელნიც ხმას აძლევენ საჭირო მოქმედების წინააღმდეგ, ან თავს იკავებენ. ერთა ლიგის უნივერსალობის უქონლობა კი არ უშლის ხელს პაქტის ეფექტურობასა და ლიგის აქტივობას, — იმეორებს ამხ. ლიტვინოვი, — არამედ სხვა გარემოებანი.

ამხ. ლიტვინოვი გამოსთქვამს იმედს, რომ საბჭო, ამ კითხვის განხილვისას, მხედველობაში მიიღებს ამ ფაქტებს, და რომ არ იქნება გამოტანილი არავითარი ნაჩქარევი გადაწყვეტილება, რომელიც მხოლოდ გაადიდებდა ლიგის სიძნელეებს და შეუძლებელს გახდიდა მის მოქმედებებს.

დასასრულ ამხ. ლიტვინოვი აცხადებს:

რადგან ამჟამად არ ისმება თვითონ პრინციპის საკითხი, და რადგან მას არ სურს არარაობამდე დაიყვანოს „28-ის კომიტეტის“ მუშაობა რეზოლუციის წინააღმდეგ ხმის მიცემით, — საბჭოთა დელეგაცია თავს იკავებს ხმის მიცემისაგანო.

თავმჯდომარე კენჭს უყრის რეზოლუციას. რეზოლუციას იღებენ.

## ანტიფაშისტური დემონსტრაცია ინგლისში

**ლონდონი,** 4 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ ლონდონის სამხრეთ რაიონში (ბერმონდსიში) 2700 ფაშისტი ცდილობდა მოეწყო პროცესია. ფაშისტების დასაცავად მობილიზებულ იქნა 2 ათასი პოლიციელი. ანტიფაშისტთა დიდმა ჯგუფებმა მოაწყეს ბარიკადები ქუჩებში, რომლებზედაც ფაშისტებს უნდა გაევლოთ. პოლიცია უშედეგოდ ცდილობდა ანტიფაშისტთა გარეკვას. პოლიციასა და ანტიფაშისტებს შორის მოხდა შეტაკება. ბოლოსდაბოლოს, პოლიციამ წინადადება მისცა ფაშისტებს შეეცვალათ მარშრუტი და მათ გაიარეს ცალიერ ქუჩებში, სადაც არავინ ელოდათ. დააპატიმრეს 111 კაცი. შეტაკების დროს დაიჭრა 30 კაცი, მათ შორის ორი პოლიციელი.

ლეიბორისტული პარტიის ლონდონის ორგანიზაციამ ურჩია ყველა მუშას, თავი შეიკავონ კონტრდემონსტრაციისაგან ფაშისტთა პროცესიასთან დაკავშირებით. მაგრამ მიუხედავად ამისა, ხალხი გამოვიდა ქუჩაში, რათა წინააღმდეგობა გაეწია ფაშისტთა მსვლელობისათვის.

## „მოსავლის დღესასწაული“ ფაშისტურ გერმანიაში

**ბერლინი,** 5 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ ბიუკებერგის მთაზე, ჰანოვერის მახლობლად, გაიმართა ფაშისტური „მოსავლის დღესასწაული“. მიუხედავად სადღესასწაულო აურზაურისა და ჩვეულებრივი ფაშისტური დემაგოგიისა გლეხობის მიმართ, ფაშისტები იძულებული იყვნენ ბევრი რამ ისეთი ელიარებინათ, საიდანაც აშკარად გამოსჭვივის შეშფოთება ქვეყნის მდგომარეობისათვის, განსაკუთრებით მომავალ ზამთარში. გერმანიის პრესა „სადღესასწაულო“ სტატიებშიც კი საქმაოდ არაორაზროვნად აღნიშნავს, რომ აუცილებელია პურის ბარათების შემოღება.

ბიუკებერგის მთაზე წარმოთქმული სიტყვებიც ძირითადად მოხმარებაში მომჭირნეობის გაძლიერებისაკენ მოუწოდებდა. სურსათისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დარე ამასთანავე ცდილობდა იმით დაესაბუთებინა პურის მოხმარების ეკონომიის აუცილებლობა, რომ თითქოს ამჟამად მკვეთრად მცირდება პურის შემოტანა საზღვარგარეთიდან.

„მოსავლის დღესასწაულზე“ გამოსული ჰიტლერი არ ჰფარავდა იმ სიძნელეებს, რასაც განიცდის გერმანია, და კვლავ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ „გამოსავალი“ ამ სიძნელეებიდან შეიძლება ვიპოვოთ გერმანიისათვის კოლონიების დაბრუნებაში. ამასთანავე ჰიტლერი იდენის სახელის მოუხსენებლად, შეეკამათა მის გამოსვლას ერთა ლიგის პლენუმზე, სადაც, როგორც ვიცით, იდენი გამოვიდა გერმანელების მიერ კოლონიების მოთხოვნის დაკმაყოფილების წინააღმდეგ. გაიმეორა რა თავისი ჩვეულებრივი ფრაზები „მსოფლიო ბოლშევიზმის“ მიმართ, რომლითაც ფაშისტები ცდილობენ გაამართლონ თავიანთი საკუთარი პოლიტიკის კატასტროფული შედეგები, ჰიტლერი იძულებული გახდა აშკარად ელიარებინა, რომ მას ძალუძს სთქვას რაიმე გარკვეული გერმანიის უახლოესი პერსპექტივების შესახებ. „არ ვიცი რას მოგვიტანს უახლოესი წელიო“,—განაცხადა მან.

# საბჭოთა კავშირში

## 130 საათი ძირდაუშვებლად ფრენაში

### დირიჟაბლი „სსსრ ვ-6" დაბრუნდა მოსკოვში

მოსკოვი, 4 ოქტომბერი (საკდესი). 4 ოქტომბერს მოსკოვში უვნებლად დაბრუნდა დირიჟაბლი „სსსრ ვ-6", რომელიც 29 სექტემბერს დილით გავიდა ხანგრძლივი ძირდაუშვებელი ფრენის ჩასატარებლად. დირიჟაბლმა ჰაერში დაჰყო 130 საათსა და 27 წუთს. ამ ხნის განმავლობაში მან გაიარა დაახლოვებით 5 ათასი კილომეტრი.

დაამთავრა რა თავისი ისტორიული შორეული ძირდაუშვებელი ფრენა, დირიჟაბლმა „სსსრ ვ-6"-მა გადაუარა დედაქალაქს და გააკეთა რამდენიმე მისასალმებელი წრე.

დღის დაახლოვებით 4 საათზე დირიჟაბლი „სსსრ ვ-6" ძირს დაეშვა. დიდძალი ხალხი, რომელიც აეროდრომის მინდორზე იყო შეკრებილი, აღფრთოვანებით მიესალმა სახელოვან მფრინავებს.

როდესაც ხომალდი მიწას დაუახლოვდა, გონდოლის ფანჯრები აივსო ცოცხალი ყვავილების ვეებერთელა თაიგულებით. ასობით ადამიანები ტაშით ესალმებოდნენ ჰაერის დამპყრობთ.

დირიჟაბლ „სსსრ ვ-6"-ის ეკიპაჟმა ამხ. პანკოვის მეთაურობით ბრწყინვალედ დაამთავრა 130 საათის ძირდაუშვებელი ფრენა, გადააჭარბა რა ყველა ცნობილ სარეკორდო გაფრენას. ამით საბჭოთა საჰაერო ხომალდის სახელოვანმა ეკიპაჟმა ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა საბჭოთა ავიაციის მსოფლიო მიღწევათა წიგნში.

## საშემოდგომო კულტურების თესვისა და მზრალად ხვნის მიმდინარეობა

მოსკოვი, 5 ოქტომბერი (საკდესი). 30 ოქტომბრისათვის საბჭოთა კავშირში დათესილია 32.515 ათასი ჰექტარი საშემოდგომო კულტურები. გეგმა შესრულებულია 88 პროცენტით. გასულ წელს ამ დროისათვის დათესილი იყო 34.178 ათასი ჰექტარი. აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის მხარეებისა და ოლქებისათვის და არაშავმიწადაგიანი ზოლის რაიონებისათვის თესვის ვადები უკვე გავიდა, მაგრამ თესვა იქ ისევ გრძელდება. ამ რაიონების შეცდომებს აშკარად იმეორებენ სამხრეთის ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები.

სრულიად არადამაკმაყოფილებელია მზრალად ხვნის ტემპები. 30 სექტემბრისათვის მზრალად მოხნული იყო სულ 15.824 ათასი ჰექტარი, ნაცვლად 23.786 ათასი ჰექტარისა გასული წლის იმავე რიცხვისათვის. გეგმა საბჭოთა კავშირში შესრულებულია 22 პროცენტით. ოქტომბრის დასაწყისისთვის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის რაიონებს და უმეტეს ცენტრალურ რაიონებს მზრალად ხვნა უკვე უნდა დაემთავრებინათ. ამავე დროს კი, გეგმა მხოლოდ კიროვის ოლქში არის შესრულებული 52 პროცენტით, დანარჩენ მხარეებსა, ოლქებსა და რესპუბლიკებში — კიდევ უფრო ნაკლებად.

მზრალად ხვნის გეგმები ამ ხუთდღიურში არ გადიდებულა. საშინაწათმოქმედო ორგანოები კვლავ ცუდად ხელმძღვანელობენ მზრალად ხვნას: ტრაქტორებს მზრალად ხვნაზე სრულიად არადამაკმაყოფილებლად იყენებენ.

მზრალად ხვნისათვის დრო ცოტაღაა დარჩენილი. ეს ავალებს საშინაწათმოქმედო ორგანოებს დაუყოვნებლივ გააძლიერონ ხვნის ტემპები. თვითეულმა მტს-მა მზრალად ხვნაზე უნდა გადაიყვანოს ტრაქტორებისა და კოლმეურნეობათა ცოცხალი გამწევი ძალის მაქსიმალური რაოდენობა, შემოიღოს მუშაობის მტკიცე გრაფიკი, რათა ჩამორჩენა უახლოეს დეკადაში იქნას დაძლეული.

## ჩელიაბინსკელთა ახალი გამარჯვება

ჩელიაბინსკი, 4 ოქტომბერი (საკდესი). ჩელიაბინსკის სტალინის სახელობის სატრაქტორო ქარხნის კოლექტივმა 3 ოქტომბერს მიაღწია ახალ გამარჯვებას. ამ დღეს მთავარი კონვეიერიდან ჩამოიღეს 50 დიზელიანი ტრაქტორი. ეს პირველი შემთხვევაა მას შემდეგ, რაც ქარხანა ახალ წარმოებაზე გადავიდა. დღე-ღამის გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით.

## კრემლის ბოროვიცის კოშკზე აკიაფდა ლალის ვარსკვლავი

მოსკოვი, 4 ოქტომბერი (საკდესი). 4 ოქტომბერს დილით მოსკოვის კრემლის ბოროვიცის კოშკზე აკიაფდა ლალის ვარსკვლავი — მეორე ვარსკვლავი იმ ხუთი ვარსკვლავიდან, რომლებიც კრემლს გააბრწყინვებენ. პირველი ვარსკვლავი ამას წინათ აინთო ვოდოვზვოდნის კოშკზე.

მოსკოვზე ჩამოწოლილ ღრუბლებში 4 ოქტომბერს დროგამოშვებით გამოანათებდა მზე. მის სხივებქვეშ ვარსკვლავები ღებულობდნენ ღია წითელ ფერს. ღრუბლიან ამინდში ისინი იცვლიან ფერს, ხდებიან მუქი წითელი, ხოლო საღამოს ლალის ცეცხლით ელვარებენ.

მესამე ვარსკვლავი რამდენიმე დღის შემდეგ აკიაფდება ნიკოლსკის კოშკზე.

## საბჭოთა მეზღვაურების ამხანაგური შეხვედრა სსრ კავშირის კოლონიასთან პარიზში

პარიზი, 4 ოქტომბერი (საკდესი). აქ იმყოფება საბჭოთა გემების „კომსომოლისა" და „სმიდოვიჩის" ეკიპაჟის ნაწილი, რომელიც სამშობლოში ბრუნდება.

გუშინ მოხდა საბჭოთა მეზღვაურების ამხანაგური შეხვედრა პარიზის საბჭოს კოლონიასთან. მეზღვაურებმა განაცხადეს, რომ მათზე ულრმესი შთაბეჭდილება მოახდინა იმ მამობრივმა ზრუნვამ, რაც მათ მიმართ გამოიჩინეს საბჭოთა კავშირის მთავრობამ და ხალხთა ბელადმა ამხანაგ სტალინმა.

## მესამე კვარტალის გეგმა შესრულებულია

(ტელეგრაფით ჭიათურიდან)

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მესამე კვარტალის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა წლის პირველი ნახევრის დანაკლისის დაფარვას, შესრულებულია 100,4 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებული 460.100 ტონა მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების ნაცვლად დამზადებულია 461.812 ტონა.



საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში კონსულტაციას უწევენ № ნაწილის მეთაურებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესახებ.

ფოტო ბუდემტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

## თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობა

თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობა ორი უმთავრესი დარგისაგან შესდგება: საშენ მასალათა და კვების მრეწველობის საწარმოებისაგან. წელს მთელმა მრეწველობამ უნდა მოგვცეს 9,3 მილიონი მანეთის პროდუქცია. აქედან 8 თვის გეგმით გათვალისწინებულია 5,8 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვება, ფაქტიურად გამოშვებულია 4,4 მილიონის — 75,1 პროცენტი.

დარგების მიხედვით 8 თვის საწარმოო პროგრამის შესრულება უდრის: საშენ მასალათა მრეწველობის დარგში — 88,7 პროცენტს, კვების დარგში — 70,5 პროცენტს.

ჩამორჩენის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს ხალხის მტრების—მავნებლების მიერ გაწეული დამარღვეველი საქმიანობა: გეგმების შესრულების ჩაშლა, ნედლეულის მოუმარაგებლობა, მექანიზმების გამოუყენებლობა, მუშათა ხელფასის დავალიანება და სხვ.

ასევე არადამაკმაყოფილებელია პროდუქციის თვითღირებულება. ამ მხრივ საქმე ცუდად არის აგურის № 2, ქსანის კრამიტის, ძეგვის კირისა და სხვა ქარხნებში. პროდუქციის ხარისხიც არადამაკმაყოფილებელი იყო; აგური ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტის პირობებს.

საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოთა ასეთი მუშაობა შეუძლებელი იყო. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით დასახულია ღონისძიებანი ამ მრეწველობის ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ. ამ ბოლო დროს გარდაიქმნა აგურის ქარხნების მუშაობა, რადიკალურად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, თვითღირებულებაც შემცირების გზით წავიდა. მაგრამ ეს არ კმარა. ადგილობრივი მრეწველობის მუშაკებს ძალიან ბევრი მუშაობა მართებთ იმ მხრივ, რომ მოახდინონ მავნებლობის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაცია, გაშალონ სტახანოვური მოძრაობა და შეასრულონ წლიური გეგმა.

მთელ რიგ აგურის ქარხნებს უთავდებათ თონის მარაგი, ამიტომ ჩვენ განზრახული გვაქვს ახალი ქარხნების აგება საბურთალოში ისინი უმთავრესად მშრალად დაწნეხილი აგურის გამოშვებაზე იმუშავებენ და წელიწადში მოგვცემენ რამდენიმე მილიონ ცალ მაღალხარისხოვან აგურს.

ჩვენი საწარმოთა მუშები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში 1937 წლის გეგმის საუკეთესოდ შესრულების მიზნით. აგურის ქარხნები ალიზის დამზადების გეგმის შესრულებას კისრულობენ ოქტომბრის ოცი წლისთავისათვის; ასეთივე ვალდებულება აიღეს ლუდის და უალკოჰოლო სასმელების დამამზადებელმა ქარხნებმა.

თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის ყველა საწარმო გაცხოველებით ემზადება სტახანოვური ერთთვიურის ჩატარებისათვის, წლიური გეგმის ვადაზე შესრულებისათვის.

ა. გრიგორიანი

თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების უფროსი

## ჩვენი ქარხანა რენტაბელურია

ჩვენი ქარხანა თბილისის საბჭოს აგურის ქარხნებს შორის ყველაზე წინ მიდის გეგმის შესრულებაში. წლიური გეგმით ჩვენ უნდა დავამზადოთ 3,6 მილიონი ცალი გამომწვარი აგური და 3,5 მილიონი ცალი ალიზი. ალიზის დამზადების 8 თვის გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით, გამომწვარი აგურისა—107,9-ით. საერთო პროდუქციისა—102,2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 11 პროცენტით, თვითღირებულებაც შევამცირეთ. ათასი ცალი გამომწვარი აგური გეგმით გათვალისწინებული 68 მან. 95 კაპეიკის ნაცვლად 64 მან. 21 კაპ. გვიჯდება. ხოლო აგვისტოში თვითღირებულება 60 მანეთამდე დავიყვანეთ.

ჩვენი ქარხანა მეოთხე წელია, რაც საკუთარი თანხებით მუშაობს. 1934 წლიდან ჩვენ უარი ვთქვით დოტაციაზე და ქარხანა რენტაბელურ საწარმოდ ვაქციეთ. შარშან მოგება გვქონდა 4 ათასი მანეთი, წელს მოველით, სულ მცირე, 10 ათას მანეთს.

ჩვენი ქარხნის პროდუქცია სიმაგრის მხრივ შეეფერება სტანდარტს, — აგურის ერთი კუბ. სანტიმეტრი უძლებს 73 კილოგრამ სიმძიმის დაწოლას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი თიხა კირიანია, რაც დაბლა სწევს აგურის ხარისხს.

ქარხანაში მუშაობს 12 სტახანოველი და 6 დამკვრელი; მათ შორის გამოირჩევიან ერანოს მინასიანი, მიტროფანე ტატუნაშვილი, ელიშ აკოფოვი, ხაზარ შაგინიანი, ივანე კრხტენკო და სხვები, რომლებიც ნორმებს 130-154 პროცენტით ასრულებენ.

ჩვენი ქარხნის მუშებმა იკისრეს ალიზის დამზადების წლიური გეგმის შესრულება 25 ოქტომბრისათვის, ხოლო გამომწვარი აგურისა 20 დეკემბრისათვის. ამას აუცილებლად შევასრულებთ.

ს. არუთინოვი

აგურის № 1 ქარხნის დირექტორი

## მრავლდება სტახანოველთა რიგები

ზუგდიდის ჩაის ფაბრიკა წარმატებით ასრულებს ჩაის მწვანე ფოთლის დამზადებისა და გადამუშავების გეგმებს. სეზონის დაწყებიდანვე გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება წარმოების მუშებსა და სპეციალისტებს შორის, რამაც ხელი შეუწყო სტახანოველთა რიცხვის ზრდას. პირველი მაისისათვის ფაბრიკაში 26 სტახანოველი ითვლებოდა, ამჟამად კი 51 სტახანოველი და 6 დამკვრელია.

შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 60 პროცენტით გაიზარდა. ზოგიერთი მუშა ნორმას სამმაგად ასრულებს და თვეში 700 მანეთამდე ღებულობს. ასეთები არიან: ფაცია გაბუნია, ალექსანდრა ბრუევა, ლ. მარტინოვა, ი. სტელმახოვა, ხ. ოსიპოვა და სხვ.

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების წლიური გეგმა ფაბრიკას ჯერ კიდევ 13 სექტემბრისათვის 101 პროცენტით ჰქონდა შესრულებული.

გეგმით ფაბრიკას უნდა გამოეშვა 9.500 კილოგრამი უმაღლესი ხარისხის ჩაი, გამოშვებულ იქნა—11.495, რაც დავალების 121 პროცენტს შეადგენს. პირველი ხარისხის მზა პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 108 პროცენტით. მეორე ხარისხის პირველი კატეგორიისა — 126-ით.

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება გრძელდება. ფოთლის დღიური შემოსავალი 20-21 ტონას აღწევს.

ა. ხიტირი

## შრომადღე—ფუთი სიმინდი

(აბაშა, „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

რაიონის კოლმეურნეობები წელს სიმინდისა და სხვა კულტურების სარეკორდო მოსავალს ღებულობენ. შარშან ჰექტარზე საშუალოდ 6 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. ახლა კი გეგმით გათვალისწინებული 14,5 ცენტნერის ნაცვლად 22-25 ცენტნერს და მეტსაც ღებულობენ.

უხვი მოსავლით აღტაცებული კოლმეურნეები თავგამოდებით შეუდგნენ მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის მზადებას. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა უკვე დაამთავრეს სასიმინდეების, ურმებისა და სხვა საჭირო ინვენტარის შეკეთება, გაიყვანეს ნათეს ფართობებთან მისასვლელი გზები.

სოფ. ტყვირის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ დაიწყო სიმინდის აღება. აქ შარშან ჰექტარზე საშუალოდ 6 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. თვითეულ შრომადღეზე ხვდათ 6,7 კილოგრამი სიმინდი და 1 მან. 95 კაპ. ფულად.

წელს ჰექტარზე საშუალოდ მოელიან, სულ მცირე, 22-24 ცენტნერ სიმინდს. შრომადღეს 20 კილოგრამზე მეტი სიმინდი და ფულად კი 2 მან. და 50 კ. მოუწევს. სტახანოველ კოლმეურნეს — პ. სოლომიას 15 სექტემბრამდე გამომუშავებული აქვს 234 შრომადღე. იგი ამ წლის ბოლოს მიიღებს 470 ფუთ სიმინდს და 800 მანეთს ფულად. გარდა ამისა სოლომია მიიღებს სოიას, ლობიოს, სორგოს და სხვა პროდუქტებს. კოლმეურნე აკაკი მეგრელიშვილი გამომუშავებულ შრომადღეებზე მიიღებს 330 ფუთ სიმინდს და 650 მანეთს ფულად.

ასეთსავე კარგ მაჩვენებლებს იძლევა ს. ნოღოხაშის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი" (თავმჯდომარე მიხა გოჩოლეიშვილი). შარშან ჰექტარზე საშუალოდ 9,41 ცენტნერი სიმინდი აიღეს. წელს ჰექტარზე ნავარაუდევია 25 ცენტნერზე მეტის მიღება. ამ კოლმეურნეობაში შარშან თვითეულ შრომადღეზე გაიცა [illegible] კილოგრამი სიმინდი, ფულად 1 მანეთი. წელს [illegible] შრომადღეს მიეცემა 20-22 კილოგრამი სიმინდი და ფულად 3 მანეთამდე.

ამ კოლმეურნეობის სტახანოველი აკაკი გაბელაია წელს მიიღებს 353 ფუთ სიმინდს, 40 ფუთამდე სოიას, ფულად კი 850 მანეთამდე და სხვა პროდუქტებს. კოლმეურნული ხვავითა და ბარაქით ივსება აგრეთვე დიმიტრი ცომაიას, ირაკლი გაბელაიას და სხვათა ოჯახები.

მეფის ცარიზმისა და მენშევიკური ტირანიის ბატონობის დროს დაბეჩავებული გლეხები უკვე შეძლებული გახდნენ.

სერგო გიგინეიშვილი კოლმეურნეობაში შესვლამდე ღარიბად ცხოვრობდა. მას ერთი პატარა ქოხის მეტი არაფერი გააჩნდა. კოლმეურნეობაში პატიოსანი მუშაობის შედეგად 1936 წ. მან აიშენა კოხტა ორსართულიანი სახლი, ჰყავს ძროხა, ღორი, შინაური ფრინველები. წელს ველოსიპედიც შეიძინა.

ილიკო გაბელაია (ნოღოხაშის კოლმეურნეობის წევრი) წინათ ნახევრად მიწურში ცხოვრობდა, დღეს კი მას ოთხოთახიანი ლამაზი სახლი აქვს წამოჭიმული.

ხსენებულ მიღწევებთან ერთად აბაშის რაიონის კოლმეურნეობებში შეხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებსაც. ზოგიერთ კოლმეურნეობაში სარევიზიო კომისიები უმოქმედობას იჩენენ. ტყვირის კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიამ (თავმჯდომარე თომა მარღანია) მიმდინარე წელს ერთხელ გააკეთა რევიზია და ისიც მხოლოდ საფინანსო დარგში.

კოლმეურნეობებში მოისუსტებს საგიტაციო მასობრივი მუშაობაც.

ივ. ყურულოვი.

## მტერი კოლმეურნეობის სათავეში

წერილი გორის რაიონიდან

სოფ. ერგნეთის (გორის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი კასრაძე კოლმეურნეობის მტერია. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მის წამოყენებისას მას რეკომენდაცია მისცა გორის რაიაღმასკომის ყოფილმა თავმჯდომარემ, ხალხის უკვე გამომჟღავნებულმა მტერმა.

თავისი მავნებლური მუშაობით კასრაძე ძირს უთხრის კოლმეურნეობას და ცდილობს უკმაყოფილება შექმნას კოლმეურნეთა შორის. იგი ცხენით დაედევნა კოლმეურნე ქალს ნინო წერეთელს და მათრახით სცემა მას. სტახანოველი ქალი თამარ დოიჯაშვილი კანტორაში დაიბარა, კარები ჩაუკეტა, უხეში სიტყვებით გაუმასპინძლდა და მოკვლას დაემუქრა.

კასრაძე ისე ექცევა გლეხებს, როგორც წინათ ჩაფრები ექცეოდნენ. მან დაიბარა ზ. დვალაშვილი და უბრძანა სიმინდზე დაეჩოქნა თავისი მეუღლითურთ. ეს კიდევ ცოტაა. კასრაძემ 20 ჰექტარი სიმინდის ნათესი გაუთოხნელობით გააფუჭა. რა იყო მიზეზი, რომ სიმინდი არ გათოხნეს? განა, დრო არ იყო ამისათვის საკმარისი? დროც იყო და მუშა-ხელიც საკმაო კოლმეურნეობაში. მაგრამ თავმჯდომარემ „ცოცხალი თევზი მოისურვა" და სამუშაოზე გასულ კოლმეურნეებს გამოუცხადა, ვისაც ბადეები გაქვთ, ჩემთან გამოცხადდითო. როდესაც გამოცხადდნენ, უთხრა: მდ. ლიახვის ტოტი დააშრეთ და თევზავეთო. კოლმეურნეებმა დავალება შეასრულეს სიმინდი კი გაუთოხნელი დარჩა.

კასრაძის დაუდევრობით თივა დაალპეს და მუშა-პირუტყვის კვება შეაფერხეს. მეტიც: კოლმეურნეობა უგეგმოდ მუშაობს, არა აქვს გამომუშავების ნორმები. როდესაც კოლმეურნეებმა ამაზე თავმჯდომარეს მიუთითეს, მან ბრძანა: „თქვენ იმუშავეთ, და ნამუშევარს დაგიწერთ თუ არა, ეს მე ვიციო". ეს სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს კოლმეურნეებში.

კასრაძემ მავნებლობა გასწია სიმინდის თესვის დროს. სათესლე სიმინდის ნაწილი ღამე განზრახ მინდორში დასტოვა. დილით, კოლმეურნეები სიმინდის დასათესად რომ წავიდნენ, თესლი აღარ დახვდათ: კასრაძეს რომ ჰკითხეს, სიმინდი რა იქნაო, მან ასე უპასუხა: „დაიკარგა, ჩუმად იყავით, არავინ გაიგოსო".

მან მავნებლობით ბზე დაალპო და კოლმეურნეობის მუშა-პირუტყვი უსაკვებოდ დასტოვა. კასრაძე ბნელი წარსულის მქონე კაცია. მისი მავნებლური მუშაობა იცოდა გორის რაიონის პროკურორმა ელიგაშვილმა, მაგრამ საჭიროდ არ სცნო კასრაძის პასუხისგებაში მიცემა.

მოვითხოვთ—თავიდან მოგვაშორონ გადაგვარებული, მავნებელი თავმჯდომარე. იგი საკოლმეურნეო ქონების განიავებისათვის პასუხისგებაში უნდა იქნას მიცემული. სიტყვა გორის რაიპროკურორს ეკუთვნის.

კოლმეურნეები:

შ. კასრაძე

ქ. დოიჯაშვილი

ვ. კასრაძე

# აი, როგორია ბურჟუაზიული დემოკრატია!

ეს ერთმა ჩიკაგოელმა ექიმმა გვიამბო.

— ილინოისის შტატის კონგრესის არჩევნები მოახლოვებული იყო, — სთქვა ექიმმა, — როცა ჩემთან სახლში მოვიდა კაცი, რომელიც ჩემს სიცოცხლეში არასოდეს მენახა. ეს იყო „პოლიტიშენი" რესპუბლიკური პარტიიდან. „პოლიტიშენ" — ეს არის საქმის მომჭახრაკებელი, კაცი, რომლის პროფესიაც ქვენა პოლიტიკაა. პოლიტიკა მისთვის სამუშაოს საქმეა. მე მძულს ასეთი ტლანქი სახის, უხეში, თავხედი ადამიანების ტიპი. პირში აუცილებლად გამორჭობილი აქვთ გადორბლილი სიგარა, ქუდი გვერდზე აქვთ მოგდებული, თვალები აქვთ დიდრონი და უაზრო, მსხვილ თითზე ყალბთვლიანი ბეჭედი უკეთიათ. „გუდ მონინ, დაკ!—მითხრა ამ კაცმა.—სალამი, ექიმო! ვის ფიქრობთ ხმა მისცეთ?" მინდოდა მუშტი ჩამეცხო კბილებში და კინწისკვრით ქუჩაში გამეგდო. მაგრამ, ჩვენი მხარბეჭის სიგანე რომ მოვზომე, მივხვდი, რომ, ქუჩაში გაგდებაზე თუ მიდგებოდა საქმე, გაგდებული უფრო მე აღმოვჩნდებოდი. ამიტომ მორიდებით ვუთხარი, იმ კანდიდატს მივცემ ხმას, რომელიც უფრო მომეწონება-მეთქი. „კეთილი,—სთქვა „პოლიტიშენმა". — თქვენ, მგონი, ქალიშვილი გყავთ, რომელიც უკვე ოთხი წელიწადია მასწავლებლის ადგილის მოლოდინშია?" მე ვუპასუხე, მყავს და მოლოდინშიაც არის მეთქი. „ჰო და,—მითხრა ჩემმა დაუპატიჟებელმა სტუმარმა,—თუ თქვენ ხმას მისცემთ ჩვენს კანდიდატს, ჩვენ ვეცდებით მოვაწყოთ თქვენი ქალიშვილი სამუშაოზე. ამასთანავე დანამდვილებით არაფერს გპირდებით. მაგრამ თუ თქვენ ხმას მისცემთ ჩვენს მოწინააღმდეგეს, ამ შემთხვევაში კი გადაჭრით შემიძლია მოგახსენოთ: თქვენი ქალიშვილი ვერასოდეს ვერ მიიღებს სამუშაოს, ვერასოდეს ვერ გახდება მასწავლებელი". ჩვენი საუბარი ამით გათავდა: „ნახვამდის, ექიმო!—მითხრა მან გამომშვიდობებისას. — არჩევნების დღეს შემოგივლით". რა თქმა უნდა, ძალიან ვბრაზობდი, ვიტანჯებოდი კიდეც, აღშფოთებული ვიყავი ამ უსირცხვილობით. მაგრამ არჩევნების დღეს მან მართლაც შემომიარა ავტომობილით. ჩემი სახლის კარებში კვლავ გამოჩნდა მისი მსხვილი სიგარა. „გუდ მონინ, დაკ!—მითხრა მან.—შემიძლია ავტომობილით მიგიყვანოთ საარჩევნო პუნქტამდე!" და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეც წავყევი. ვიფიქრე, სულ ერთი არ არის, ვინ იქნება არჩეული,—დემოკრატი თუ რესპუბლიკელი, ჩემმა ქალიშვილმა კი იქნებ ადგილი მიიღოს-მეთქი. ეს, თქვენს გარდა, ჯერ არავისთვის მიამბნია,—მრცხვენოდა. მაგრამ აი ასეთი პოლიტიკური ცხოვრებით მარტო მე როდი ვცხოვრობ. ყველგან „რაკეტია"*), ყველგან ძალდატანებაა ამა თუ იმ ფორმით, და თუ გსურს მართლა პატიოსანი იყო — კომუნისტი უნდა გახდე. მაგრამ ამას ახლა ყველაფერი უნდა შესწირო. ეს კი მეძნელება.

ჩიკაგოს რაკეტი — ყველაზე განთქმული რაკეტია ამერიკაში. ჩიკაგოში იყო მერი, გვარად ჩერმაკი, მუშათა წრიდან გამოსული, იგი პროფკავშირების ბელადად იყო ნამყოფი და დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ის ახლანდელ პრეზიდენტ რუზველტთანაც კი მეგობრობდა. ისინი ერთმანეთს მარტო სახელით, ასე ვთქვათ, „შენობით" მიმართავდნენ: იგი რუზველტს ეძახდა—ფრენკ, რუზველტი კი მას — ტონი. მუშები მასზე ამბობდნენ: „ტონი — ჩვენი კაცია, მუშაა. ის არ გვიღალატებსო". გაზეთები სწერდნენ პრეზიდენტის გულამაჩუყებელ მეგობრობაზე უბრალო მუშასთან (ხედავთ, ბავშვებო, რას შეუძლიან მიაღწიოს ამერიკაში დაკოჟრებულხელებიანმა კაცმა!). ორი თუ სამი წლის წინათ ჩერმაკი მოჰკლეს. მას დარჩა სამი მილიონი დოლარი და ორმოცდაათი ფარული საროსკიპო, რომლებიც, თურმე, ჰქონია მარჯვე ტონის. მაშასადამე, ჩიკაგოს მერად ერთხანს ყოფილა რაკეტირი.

ამ ფაქტიდან სრულიადაც არ უნდა დავასკვნათ, რომ ამერიკის ყველა ქალაქის მერი რაკეტირია. და, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტი არამზადებთან მეგობრობს. ეს—გარემოებათა რაღაც განსაკუთრებული დამთხვევაა; მაგრამ ჩერმაკის ამბავი საუცხოოდ გვიხატავს, თუ რას წარმოადგენს ქალაქი ჩიკაგო.

პირველ საღამოს ნიუ-იორკში ჩვენ შეგვაშფოთა მისმა სიღარიბემ და სიმდიდრემ. აქ კი, ჩიკაგოში, ადამიანს იპყრობს გრძნობა რისხვისა ადამიანთა მიმართ, რომლებიც გაწოლვებიან დოლარებს და ნაყოფიერ პრერიაში, წყალუხვი მიჩიგანის ნაპირზე აუშენებიათ ეს საშინელი ქალაქი. შეუძლებელია შეურიგდე იმ აზრს, რომ ქალაქი წარმოიშვა არა სიღარიბის, არამედ სიმდიდრის შედეგად, ტექნიკის, ხვნა-თესვისა და მესაქონლეობის არაჩვეულებრივი განვითარების შედეგად. მიწამ ადამიანს მისცა ყოველივე, რისი მიღებაც კი მისგან შეიძლებოდა. ადამიანი მუშაობდა გულმოდგინედ და საქმის ცოდნით, რამაც შეიძლება მხოლოდ აღტაცება გამოიწვიოს. მოყვანილია იმდენი პური, ამოღებულია იმდენი ნავთი და გაკეთებულია იმდენი მანქანა, რომ ყოველივე ეს საკმარისი იქნებოდა დედამიწის ხახევრის დასაკმაყოფილებლად. მაგრამ უხვად გაპოხიერებულ ნიადაგზე, გონების წინააღმდეგ, აღმოცენდა უზარმაზარი მახინჯი და შხამიანი სოკო—ქალაქი ჩიკაგო ილინოისის შტატში. ეს აბსურდის რაღაც ზეიმია. აქ სრულიად სერიოზულად იწყებ ფიქრს, რომ ტექნიკა კაპიტალიზმის ხელში — ეს არის დანა გიჟის ხელში...

ზამთრის წვიმიან დღეს ინგლისის ნაპირებს მიადგა პატარა სატვირთო გემი. დასველებული კიბით ნაპირზე ჩამოვიდა უქუდო კაცი. ერთი ხელით ცოლს ეხმარებოდა, მეორით კი ბავშვი ჰყავდა ჩახუტებული. მას ყოველი მხრით მიესივნენ ფოტოგრაფები, კინო-ოპერატორები და ჟურნალისტები. იგი ჯიქურ მიდიოდა, არავის ყურადღებას არ აქცევდა. მხოლოდ როდესაც ჩაჯდა ავტომობილში, გადმოხედა ხალხს, რომელიც უკან მიჰყვებოდა, და მის გამოხედვაში აისახა სიძულვილი და შიში.

ეს კაცი ამერიკიდან გამოიქცა. მან დასტოვა ამერიკა ღამით, როდესაც ქვეყანას ეძინა,—მოატყუა რა სიფხიზლე ნიუ-იორკის ყველაზე ფხიზელი რეპორტიორებისა. უკან რომ არ დასდევნებოდნენ, ის გაემგზავრა არა კომფორტაბელური სამგზავრო გემით, არამედ ძველი უვარგისი პატარა სატვირთო გემით, რომელზედაც რიგიანი კაიუტაც კი არ იყო. და ეს კაცი, რომელმაც დასტოვა თავისი სამშობლო, ბედნიერი იყო, როდესაც თავი ამოჰყო უცხო ქვეყანაში.

ეს იყო ჩარლზ ლინდბერგი, მსოფლიოში ერთერთი ყველაზე სახელგანთქმული ადამიანი, ხოლო მისი სამშობლო იყო ამერიკის შეერთებული შტატები, უდიდესი დემოკრატიის ქვეყანა, როგორც ეს მტკიცედ სწამთ ამერიკელებს.

რასაკვირველია, ყველამ იცის, თუ რა იყო მიზეზი, რამაც ლინდბერგი აიძულა გადაედგა ადამიანის ცხოვრებაში უსერიოზულესი ნაბიჯი — დაეტოვებინა სამშობლო. აღმოჩნდა, რომ ამერიკას არ ძალუძს დაიცვას ნაციონალური გმირის პიროვნების ხელშეუხებლობა, არ ძალუძს დაიცვას მისი ბინა ბანდიტთა თავდასხმისაგან, არ ძალუძს დაიცვას მისი ოჯახი.

შეიძლება არ დავეჭვდეთ იმაში, რომ ლინდბერგს უყვარს ამერიკა, ხოლო ამერიკელები ეთაყვანებიან მას. და თუ ჩავუკვირდებით ამერიკის კონსტიტუციის ტექსტს, იქ ადვილად მოვნახავთ დიდებულ და სამართლიან მუხლებს, რომლებიც, თითქოს უზრუნველჰყოფენ საერთო კეთილდღეობას. და ლინდბერგი მაინც გაიქცა, ხოლო კონსტიტუცია კაპიტალისტურ ქვეყნებში არის მხოლოდ ბრინჯაოს ლამაზი ტაბულა ან არანაკლებ ლამაზი პერგამენტი, საკანონმდებლო დაწესებულების სეიფში შენახული.

სახელგანთქმული ადამიანის ისტორიიდან გადავიდეთ უბრალო ამერიკელი ქალის ისტორიაზე, რომლისათვისაც, ისე, როგორც ლინდბერგისათვის, იწერებოდა შეერთებული შტატების კონსტიტუციის მქუხარე სიტყვები.

ამ ამერიკელ ქალს ჰყავდა ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი და ასაკოვანი ვაჟი. ერთხელ ქალიშვილი სახლში აღარ დაბრუნდა. იგი მთელ ღამეს არ ყოფილა. არც მეორე დღეს გამოჩნდა. ბავშვი გაჰქრა. მას სძებნიდა პოლიცია და ვერ იპოვნა. დედა თავის ქალიშვილს დაღუპულად სთვლიდა. განვლო ერთმა წელმა. და აი, როგორღაც მის ვაჟს მეგობარმა აცნობა საშინელი ახალი ამბავი. ქალიშვილი, რომელსაც დაღუპულად სთვლიდნენ, ფარულ საროსკიპოში ენახნა (ოფიციალურად მიჩნეულია, რომ ამერიკაში პროსტიტუცია არ არის. ნამდვილად კი იქ მრავალი ფარული საროსკიპოა). ძმამ კლიენტის სახით დაუყოვნებლივ მიაშურა საროსკიპოს. იქ მან მართლაც ნახა თავისი და. ახალგაზრდა ქალი ისე საშინლად გამოცვლილიყო, რომ ძმამ ძლივს იცნო. ხოლო მისი ნაამბობი კიდევ უფრო საშინელი იყო. ის მოიტაცეს და გაჰყიდეს.

— დავიღუპე, — უთხრა ქალიშვილმა,—ნურც კი შეეცდები ჩემს გადარჩენას. ადამიანები, რომლებმაც მე მომიტაცეს, იმდენად ძლიერნი არიან, რომ მათ ვერავინ შეებრძოლება. ისინი არ დაერიდებიან, რომ მოგკლან შენ ან დედა.

მაგრამ ბრძოლა მაინც დაიწყო. დედამ მიმართა პოლიციას,—აქედან არაფერი გამოვიდა, ბანდიტების ზურგს უკან იდგნენ ვიღაც უცნობი, მაგრამ არაჩვეულებრივად ძლიერი პირები. დიდამ მიმართა სასამართლოს. ბანდიტების ვექილმა დაამტკიცა, რომ ქალი დიდიხნის როსკიპია და რომ საზოგადოებისათვის საშიშროებას წარმოადგენს სწორედ ის, და არა მისი მომტაცებელი ბრბო. შტატის უზენაესმა სასამართლომაც საქმე ბანდიტების სასარგებლოდ გადასწყვიტა. არც ვაშინგტონში გამგზავრებამ უშველა დედას. ვაშინგტონს საერთოდ არავითარი გავლენა არა აქვს შტატის სასამართლოზე. ეს არის და ეს. ქალი დარჩა საროსკიპოში.

ეს მოხდა იმ ქვეყანაში, სადაც დეკლარირებულია სიტყვის თავისუფლება. ქალის დედას მინიჭებული ჰქონდა თავისუფლება არა მარტო ელაპარაკნა, არამედ ეყვირნა კიდეც. იგი ყვიროდა, მაგრამ არავინ მოუსმინა.

ეს მოხდა იმ ქვეყანაში, სადაც დეკლარირებულია პრესის თავისუფლება. მაგრამ არცერთ გაზეთს არაფერი დაუწერია ამ საქმეზე...

ეს მოხდა იმ ქვეყანაში, სადაც დეკლარირებულია პიროვნების ხელშეუხებლობა. მაგრამ საბრალო პიროვნება საროსკიპოში იჯდა და ვერავითარმა ძალამ ვერ გამოიხსნა...

რატომღაც, ყოველთვის, როცა კი მეხსიერებაში არჩევ იმ ელემენტებს, რომელთაგანაც შესდგება ამერიკული ცხოვრება, გახსენდება სწორედ ბანდიტები, თუ ბანდიტები არა, მაშინ რაკეტირები, ხოლო თუ რაკეტირები არა, მაშინ ბანკირები, რაც, საერთოდ, ერთი და იგივეა. გახსენდება ადამიანთა მთელი ეს ნაგავი, რომელმაც წაბილწა თავისუფლების მოყვარული და მომუშავე ქვეყანა.

რა შეიძლება იყოს თავისუფალ არჩევნებზე უფრო სასიხარულო დემოკრატიულ ქვეყანაში, რომლის მოქალაქენიც კონსტიტუციით უზრუნველყოფილნი არიან „თავისუფლების და ბედნიერებისაკენ მისწრაფების" ყველა უფლებით? საზეიმოდ გამოწყობილი ამომრჩევლები მიდიან ურნებთან და ნაზად უშვებენ ბიულეტენებს, რომლებშიც აღნიშნულია საყვარელი კანდიდატების გვარები.

საქმით კი გამოდის ის, რაც გვიამბო ჩიკაგოელმა ექიმმა: მოდის რაკეტირი პოლიტიშენი და შანტაჟით ან მუქარით აიძულებს კარგ ადამიანს ხმა მისცეს ვიღაც გაიძვერას.

ამრიგად, თავისუფლების და ბედნიერებისაკენ მისწრაფების უფლება უეჭველად არსებობს. მაგრამ ამ უფლების განხორციელების შესაძლებლობა მეტისმეტად საეჭვოა...

(ი. ილფისა და ე. პეტროვის წიგნიდან: „ერთსართულიანი ამერიკა").

*) ცნობა „რაკეტს" ავტორები ამავე წიგნში ასე განმარტავენ:

„რაკეტი" არის ყველაზე უფრო საიმედო და შემოსავლიანი პროფესია, თუ შეიძლება მას პროფესია ეწოდოს. არ არის ადამიანის მოღვაწეობის თითქმის არცერთი სახე, რომ მას „რაკეტი" არ შეჰხებოდეს. მალაზიაში შედიან მხარბეჭიანი ახალგაზრდები ღია ფერის ქუდებით და ითხოვენ, რომ მაღაზიის პატრონმა ვაჭარმა მათ, ღია ფერის ქუდებიან ახალგაზრდებს, ყოველთვე დაუგვიანებლივ უხადოს ხარკი. მაშინ ისინი შეეცდებიან შეუმცირონ გადასახადი, რომელსაც ვაჭარი სახელმწიფოს უხდის...

ყვითელი პროფკავშირების მუშაკები ფაბრიკანტებისაგან ღებულობენ ფულს გაფიცვის ჩაშლისათვის. ისინივე ღებულობენ ფულს მუშებისაგან მათი სამუშაოზე მოწყობისათვის, ესეც რაკეტია...

# ქართველი ხალხის უდიდესი პოეტი

## ვეფხის ტყავი რუსთაველის პოემაში

### სიმონ ჩიქოვანი

სიყვარულის გრძნობის მთავარ გამომხატველ გმირებად შ. რუსთაველმა ტარიელი და ნესტანი წარმოგვიდგინა. ავტორმა ტარიელი ვეფხის ტყავით შემოსა და ნაწარმოებსა და გმირს „ვეფხის-ტყაოსანი" უწოდა. ეს უსათუოდ დამახასიათებელია პოემის: მთავარი გმირის თვისება მთელი პოემის სახეობაც არის. გმირი და ნაწარმოები ერთნაირი ვნებიანობით არიან გაჟღენთილი.

მართალია, „შაჰ-ნამეში" როსტომს პილოსებურ ტანზე ვეფხის ტყავი აქვს შემოსხმული და ილიადაში „ღვთაებრივი პარისის" პირველ გამოჩენას ავაზის წამოსასხამი ამშვენებს, მაგრამ ხსენებულ პოემებში გმირების წამოსასხამს იმდენი აზრობრივი დატვირთვა არ გააჩნია, რამდენიც რუსთაველის ვეფხის ტყავს. მართლაც, პარისის ავაზა და ვეფხის ტყავი ნაწილობრივ ენათესავებიან ერთმანეთს როგორც ვნებიანობის და სიყვარულის გარეგანი გამოხატულება; ტარიელისათვის ვეფხვის ტყავი მაინც უბრალო სიმბოლო კი არ არის სიყვარულისა, არამედ ნაწილი, სახეობა თავის მიჯნურისა.

როდესაც ტარიელმა განრისხებული ნესტანი ნახა, „იგი ქვე იჯდა, ვით კლდისა ნაპირსა ვეფხი პირგამეხილიო", ამბობს ტარიელი. ხოლო სატრფოს დაკარგვის შემდეგ ეს უკანასკნელი სურათი ჩარჩა ხსოვნაში გმირს და ტარიელმა ნესტანი წარმოიდგინა ვეფხის სახეობით. ტარიელი დანაშაულსაც გრძნობდა სატრფოს წინაშე და უნდოდა სატრფოს შვენება ყოველთვის თან ხლებოდა და ყოველწუთს განეცადა ტანჯვა სატრფოზე ფიქრით. ავტორი და გმირი ამ შედარებაში ნესტანს წარმოგვიდგენენ როგორც ბუნების ნაკვეთს და მის შვენებას. ბუნებას შეჰკედლებია სასოწარკვეთილი ტარიელიც და ბუნებაში წასულმა გმირმა ბუნებაშივე უნდა ჰპოვოს თავისი მიჯნურის სახეობა:

„რომე ვეფხი მშვენიერი სახედ მისად დამისახავს, ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს".

და ვეფხის ტყავი, როგორც ნაწილი სატრფოს რეალობისა, ყოველთვის თან ახლდა გმირს, როგორც საკუთარი გული და იარაღი.

განდევნილმა ნესტანმა ოდისევსის მსგავსად მრავალი განსაცდელი გამოიარა და ბევრი ტანჯვის შემდეგ ტყვედ მოხვდა ქაჯეთის ციხეში. მაგრამ ტარიელის ნაჩუქარი რიდე მუდამ თან ახლდა სასურველს და მისთვის ეს იყო ნაწილი ტარიელის სიყვარულისა და ვაჟკაცობისა. ასე ასულიერებდნენ რუსთაველის გმირები საგნებს და ბუნების ნაწილებში ხედავდნენ საყვარელ ადამიანთა ანარეკლს. თუ ტარიელმა ბუნებაში ჰპოვა ნესტანის შესადარი „პირგამეხილი ვეფხი", ნესტანისათვის ბუნებაში ყველაზე მაღალი და ყველაფრის მაცოცხლებელი მზე იყო.

სიყვარულის გრძნობა პოემაში იშლება სრულიად რეალისტურ სურათებში და რუსთაველს არ სჭირდება დაალევინოს თავის გმირებს გრძნეულის მომზადებული წამალი, ტრისტან და იზოლდას ავტორის მსგავსად, რომ სიყვარულმა აღიტაცოს ორივე სქესი. სიყვარულის გრძნობის აღწერისას ავტორს სრულიად განდევნილი აქვს ზღაპრული ელემენტი. გმირების პირადი მშვენება და მათგან გამოწვეული შთაბეჭდილება საკმარისია სიყვარულის დრამატიული კვანძის გასახლართავად.

რუსთაველი სიყვარულის გრძნობის გამოხატვაში მრავალფეროვანია, როგორც ბუნება და ბუნებასავით ახალი და ახალი სახეების შემომქმედი. გმირების სულიერ სამყაროს პოეტი მრავალი პოეტური ხერხით აქანდაკებს, ხშირად დრამატიულ სცენას, სცვლის ლირიკული მონოლოგი, ლირიკულ მონოლოგს მოსდევს სიმღერა გმირისა ან კიდევ საოცარი ხილვა სამყაროსი.

მართალია, ნესტან დარეჯანმა სიყვარულის გრძნობის დასაგვირგვინებლად ბევრი განსაცდელი და წამება გამოიარა და ავტორიც დიდი ოსტატობით მოგვითხრობს ნესტანის თავგადასავალს, მაგრამ ნესტანის სიყვარულის უმთავრესი ძალის მაჩვენებელი მაინც მისი წერილებია. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამ სიძლიერის ლირიკული მონოლოგი სიყვარულისა საშუალო საუკუნეებში არ თქმულა არც აღმოსავლეთის და არც დასავლეთის პოეზიაში. ნესტანის წერილში სიყვარულის გრძნობა და მისთვის თავგანწირვა ისე ძლიერად გადაწნულია ერთმანეთში, როგორც რუსთაველის ლექსის გარეგნული ელერა და პოემის დრამატიული სიმძაფრე.

„დასწერა წიგნი მსმენელთა გულისა გასაგმირალი.
ვარდი გაჰპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირვალი".

ტარიელი უფრო შემყოლია თავისი ტკივილებისა, თავისი დრამატიული ცხოვრებისა, მაგრამ თავის ტრფიალების გადმოცემაში გმირი უბედურ შემთხვევების თხრობით არ კმაყოფილდება. სიყვარული ტარიელის გონებაში იწვევს საოცარ ხილვებს და მოულოდნელ ასოციაციებს; ხოლო ეს ხილვები აძლიერებენ და ხსნიან მკითხველის წინაშე ვეფხისტყაოსანი გმირის სულიერ ტანჯვას.

ვეფხის ტყავი და მისგან გამოწვეული შთაბეჭდილება პოემაში ბადებს ერთ უშესანიშნავეს სცენას. ერთხელ ტარიელმა იხილა, რომ ლომი და ვეფხი ეთამაშებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მალე ლომი გამოეკიდა ვეფხს და ეტყობოდა „ვერვინ დაამშვიდებდა". ტარიელს ეწყინა სატრფოსადმი ასეთი ცუდი ქცევა რაინდისა და მოჰკლა გაბრაზებული ლომი. ხოლო ვეფხმა მაშინვე მოაგონა გმირს თავისი სატრფოს მშვენება, შეიპყრო იგი ხელით და მოუნდა სატრფოს კოცნა. „მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითაო". მაგრამ ვეფხი გაუძალიანდა და

„რა ზომცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერა დავამშვიდე,
გავგულისდი, მოვიქნივე ვკარ მიწასა დავაწყვიდე".

ბუნების შვილმა და მოყმის ტრადიციების მატარებელმა ტარიელმა ვერ მოითმინა, რომ ლომი ასე უხეშად ეპყრობოდა თავის ტურფას. ხოლო ლომისაგან განთავისუფლებულმა ვეფხმა ვერ გაიგო რაინდის გულის ნადები და რაინდის ხელით დახრჩობილ იქმნა. ეს სცენა ბუნების სურათიც არის, რომელიც სამუდამოდ დაკავშირებულია ნესტანის სახესთან. კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა ტარიელმა ბუნების სიმშვენიერის და ნესტანის იგივეობა. ამიტომაც ვეფხის ტყავის განფენას პოემაში მეტად მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს, — ის იყო მთელი ბუნების სიმბოლო, და ვეფხის ტყავი პოეტისათვის წარმოადგენდა ერთგვარ პალიტრას, საიდანაც მხატვარი ფერადებსა და კოლორიტს იღებდა და ფაქტურას უქმნიდა პოემას. პოემაში აღწერილი ბუნებისა და საერთოდ გარემყარის ფონი ვეფხის ტყავია. იგი ვეფხივით ფერადოვანია და მზიური. მზე, აშუქებს რა ხილულ სამყაროს, აფერადებს მას და მისი ფერების ელერა ვეფხისტყაოსნისებურია. ეს სჭირდება რუსთაველს, რათა ყოველგვარი ტრაგიკული ან დრამატიული სცენა მზით განათებული სამყაროს ფონზე გამოკვეთილი გვიჩვენოს, ისე გააშუქოს ცოცხალი ფერადებით დრამატიული სცენები, რომ ოპტიმისტური იერი მისცეს ამბავის მიმდინარეობას. სასოწარკვეთილების გამომხატველ არცერთ სცენაში ქვეყნის მზიურობა არ ეკარგება მკითხველს და ინდოეთისა და არაბეთის გეოგრაფიული არეები ნაწილობრივ ამ მზიურობისათვის უნდა იყოს შერჩეული. რუსთაველს მასალისა და საკუთარი კონცეპციის შედეგად განდევნილი აქვს ბნელი ღამეები, წვიმიანი დღეები და, საერთოდ, მგლოვიარობა ბუნებისა. პოემის ცა თითქმის ყოველთვის მოწმენდილია და ვარსკვლავებით მოჭედილი. ამგვარად ვეფხის ტყავი, რუსთაველის პოემას ამშვენებს, როგორც ჰომიროსის ქმნილებას აქილევსის ფარი. თუ აქილევსის ფარი სიმბოლოა ჰომიროსის წარმოდგენაში მყოფი ქვეყნიერების შემადგენელი ნაწილებისა, ვეფხის ტყავი რუსთაველისთვის ქვეყნის ფერადოვნობის გამოხატვაა.

## რუსთაველის სახე სვეტებიან დარბაზში

### ირაკლი აბაშიძე

ეს იყო შოთა...
უცებ ღელვა და ჟრუანტელი,
უცებ თვალებში ბედნიერი ალმასის წვეთი;
კავშირთა სახლში შემოვიდა დიდი ქართველი
და ტრიბუნასთან დაიკავა დარბაზის სვეტი.

როგორც ოდესღაც, თავის მამულს, უცხო ყარიბი
დიდი რუსეთის კარს მოადგა მისი სახება,
და კვლავ ის წიგნი მოიტანა — ვით მღულარების
რვაას წლის შემდეგ ხელახალი ამოძახება.

ვეფხით და ყალმით მოხატული და ფერუცვლელი,
ძველ პერგამენტზე შენახული ყდით და წვალებით
მოართვა წიგნი, შემოვიდა შოთა რუსთველი
ქართულ თავაზით, თავმდაბლობით და მოკრძალებით.

სთქვა: — მგოსანიო, საოცრების მოველ ქვეყნიდან,
მე გადავურჩი განუწყვეტელ წვას და უკუნეთს —
რომ სიკვდილამდე მიჯნურობის ცეცხლი მეკიდა,
სიკვდილის შემდეგ იწვებოდა რვა საუკუნე.

და კვლავ ჩნდებოდა, ხელახალი ედგა აკვანი,
ქართულ კერასთან ისევ მოყმე ახლადშობილი;
თვით მნათობებში კრიალებდა ერთი მათგანი
ზოგჯერ დიდებით, ზოგჯერ გულზე ლახვარსობილი.

ვერ ამოშანთეს, უგუნურთა ხმლით ვერ გაჰკვეთეს
დიდი მსახური გონიერთა გულთა-მხილების;
მაშინ დასავალ-აღმოსავლეთით ზღვებში ჩაჰკეტეს
და ჩრდილოეთით კავკასიის მთაგრეხილებით.

რვაას წელიწადს დაეძებდა გმირს და თანატოლს
ვით ავთანდილი, როგორც მოყმე, უცხო ყარიბი,
შეხვდნენ, იხარეს, აწ ქვეყანა ერთად ანათონ,
ზღვის და ხმელეთის მან გაუხსნა რუსთველს კარები.

და როგორც ძველად, ძველი ქართლის მინდორ-ველადა
დღეს ჩრდილოეთის კარს მოადგა მისი სახება,
ეს შოთა იყო — საბჭოეთში ბრძანა ბელადმა
რვაას წლის შემდეგ მისი ახლად გამოძახება.



ნახატი ი. თოიძისა.

## რა იქნება რუსთაველის საიუბილეო გამოფენაზე

უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით რესპუბლიკურ გამოფენაზე, რომელიც ეწყობა საქართველოს მუზეუმის შენობაში, მოცემული იქნება სამი ძირითადი განყოფილება: „ლიტერატურა", „ხელოვნება" და „ყოფაცხოვრება და ეკონომიკა რუსთაველის ეპოქაში".

**ლიტერატურა.** გამოფენის ლიტერატურის განყოფილებაში გაშუქდება შემდეგი საკითხები: რუსთაველის წინამორბედი ქართველი მწერლობა, რუსთაველის თანამედროვენი საქართველოში, ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთ ევროპაში, რუსთაველის ყველა გამოცემა, „ვეფხის ტყაოსნის" თარგმანები უცხო ენებზე, „ვეფხის ტყაოსნის" ხალხური რედაქციები, რუსთაველის წამბაძველ-გამგრძელებელნი, რუსთაველის დევნა, „ვეფხის ტყაოსნის" გავლენა ძველ ქართულ მწერლობასა და მე-19 საუკუნის მწერლობაზე, რუსთაველი და ქართული საბჭოთა მწერლობა.

აგრეთვე გამოფენილი იქნება რუსთაველის დღემდე ცნობილი ყველა პორტრეტი და „ვეფხის ტყაოსნის" ილუსტრაციები.

გარდა ამისა, მხატვრებს დავალებული აქვთ სხვადასხვა თემების დამუშავება რუსთაველის შესახებ.

**ხელოვნება.** ხელოვნების განყოფილებაში მოცემული იქნება XI—XIII საუკ. ხელოვნების ნიმუშები: სასახლეები, ტაძრები, მონასტრები და სხვ., რომელთა შორის იქნება მცხეთის ტაძარი (სვეტიცხოველი), ალავერდი, გელათი, იქორთა, გეგუთის ციხედარბაზი, მცხეთის შესავალი კარი და სხვ.

კედლის მხატვრობიდან მოცემული იქნება: ახტალა (სომხეთი), ბერთუბანი, ყინწვისი, გელათი, ბეთანია და სხვ.

წარმოდგენილი იქნება აგრეთვე ქვის ჩუქურთმებისა და ქანდაკებების ნიმუშები, მცირე ხელოვნებიდან—ქვის, ბრინჯაოს, ხის, ვერცხლის და სხვ. ნაწარმოებნი და რუსთაველის ეპოქის ისტორიულ პირთა სურათები.

**ყოფაცხოვრება და ეკონომიკა.** ამ განყოფილებაში გაშუქდება რუსთაველის ეპოქის ტანისამოსისა და ქსოვილების ისტორია, სამოქალაქო ხუროთმოძღვრება, ჭვეჯეულობა, იარაღები, აგრობოტანიკა, სავაჭრო გზები, საექსპორტო და საიმპორტო ვაჭრობა და სხვ.

ტანისამოსის ისტორიაში ნაჩვენები იქნება XI—XII საუკ. თანამდებობის პირთა და სხვადასხვა წოდებათა ტანისამოსის ნიმუშები, ცალკე განხრებით: ბავშვის, ქალის, ვაჟის, მოხუცის და სხვ.

მე-12 საუკუნის საქართველოში მაღალ დონეზე იდგა საფეიქრო ხელოვნება, ამიტომ დიდ ინტერესს იწვევს გამოფენაზე ამ დარგის დაწვრილებით გაშუქება.

ქსოვილების ნაწილი, რომელიც დღემდე შემონახულა, ნაჩვენები იქნება ნატურალური სახით. ხოლო რადგან ასეთები ძალიან მცირეა, უმრავლესობა აღდგენილი იქნება მინიატურული და ფრესკული მხატვრობიდან ამოღებული სახეებით, რაც საშუალებას იძლევა კარგად იქნას გაშუქებული რუსთაველის ეპოქის ქართული ქსოვილების ისტორია.

სამოქალაქო ხუროთმოძღვრებისა და აღმშენებლობის დასახასიათებლად გასულ წელს დაიწყო დმანისის ნაქალაქარის გათხრები, რაც უკვე დასრულდა.

გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა საინტერესო მასალები რუსთაველის ეპოქის ხუროთმოძღვრებიდან და აღმშენებლობიდან. ეს მასალები უკვე დამუშავების სტადიაშია. გარდა ამისა, უახლოეს დღეებში დაიწყება გეგუთის სასახლის გათხრები, რომელიც წარმოდგენილი იქნება აგრეთვე სამოქალაქო ნაშთების შესწავლის მიზნით.

ჭვეჯეულობის განყოფილებისათვის უძველესი არაფერია შემონახული. ამის აღსადგენად გამოფენის მომწყობმა კომიტეტმა მიმართა ისევ მინიატურულ მხატვრობასა და ჰედვითს ხელოვნებას, რაც შევსებულია მოპოვებული წერილობით აღწერილობებითა და ისტორიული გადმოცემების საშუალებით.

ჭურჭლეულობიდან წარმოდგენილი იქნება უმთავრესად დმანისის გათხრების დროს აღმოჩენილი მასალები—როგორც უბრალო თიხის, ისე ქაშანურისა და ძველი ფაიანსისა.

სოფლის მეურნეობიდან დამზადებულია მე-12 საუკუნის იმ სურათების ასლები, რომლებიც გამოსახავენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს: ხვნას, ბარვას, შინაურ ცხოველებს, მხვნელის, მებაღისა და მწყემსის ტანისამოსს.

აგრობოტანიკიდან შესწავლილია იმდროინდელი პურისა და სხვა საკვები მცენარეულობის ყველა ჯიში, შედგენილია მათი სრული ჰერბარიუმი.

შედგენილია აგრეთვე თესლეულობის კოლექცია და გამოკვლეულია მისი თვისებები.

შესწავლილია ყურძნის ყველა ჯიში, რაც კი რუსთაველის ეპოქაში იყო გავრცელებული და დღემდე შემონახულა.

რუსთაველის ხანის ვაჭრობის დასახასიათებლად გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სავაჭრო გზებისა და ხიდების რუკა მარშრუტების ჩვენებით, მათ შორის მე-12 საუკუნის სოხუმის ხიდი, რომლის ნახაზი უკვე დამზადებული და გამოკვლეულია საინჟინრო ხელოვნების თვალსაზრისით.

შედგენილია აგრეთვე სრული კოლექცია რუსთაველის ეპოქის საქართველოში მიმოქცევაში მყოფი როგორც ადგილობრივი, ისე უცხოეთის ფულისა. ამას დაემატება საგანძურის რუკა, რომელიც უკვე მზადდება, საექსპორტო ვაჭრობის საგნები და იმდროინდელი საქართველოს ყოველწლიური ბიუჯეტი.

ადგილობრივ მრეწველობასთან ერთად გაშუქებული იქნება აგრეთვე იმპორტული ნივთებიც.

გამოფენაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა თამარის ხანის სარწყავ და წყალსადენის ნაგებობებს. ამ მიზნით ჩატარდა გათხრები სხალტბა—შიო მღვიმის წყალსადენისა, აგრეთვე ალაზნისა და სამგორის არხებისა, რომლებიც გაყვანილია მე-12 საუკუნეში.

წყალსადენის რამდენიმე ტრასა წარმოდგენილი იქნება ნატურალური სახით (მილები, თანგირები და სხვ.), ხოლო არხები მოცემული იქნება ნახაზებითა და ფოტოსურათებით.

გამოფენა გაიხსნება რამდენიმე დღით ადრე საიუბილეო დეკადის დაწყებამდე.

გერონტი ქიქოძე

## შოთა რუსთაველი

ქართული ფეოდალური ლიტერატურა თავის აყვავების ხანაში, სახელდობრ XI—XII საუკუნეებში ხშირად დეტალებშიც გასაოცრად წააგავს თავის თანამედროვე ევროპულ ლიტერატურას, მაგრამ ის გამოჰხატავს უფრო პროგრესიულ, უფრო თავისუფლად მოაზროვნე, კლასიკური საბერძნეთის და რომის მსოფლიოსთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებული საზოგადოების იდეოლოგიას. დავით აღმშენებლის, თამარ მეფის და ლაშა გიორგის ქრონიკები, შავთელის ოდები, ჩახრუხაძის ელეგიები, რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი", შემდეგ ახტალის, ბეთანიის, ყინწვისის, უბისის საფრესკო მხატვრობა რენესანსის სულითაა გამსჭვალული. XI—XII საუკუნეების მოწინავე ქართველი საზოგადოება შეიძლება უფრო ახლო იდგეს კოზიმო მედიჩის და ლორენცო ბრწყინვალეს დროის განათლებულ ფლორენციელებთან, ვიდრე თავის თანამედროვეებთან, ტლანქ დასავლეთ ევროპულ ჯვაროსნებთან.

უძველესი ლიტერატურული ძეგლები, რომელთაც დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობა აქვთ, დაკავშირებული არიან ქრისტიანობის შემოსვლასა და პროპაგანდასთან საქართველოში: ესაა ე. წ. აგიოგრაფიული ლიტერატურა, რომლის ყველაზე არქაული ნიმუშები მეხუთე-მეექვსე საუკუნეებით თარიღდება. ამ ლიტერატურის ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლში, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში", რომელიც აკადემიკოსმა ნიკო მარმა აღმოაჩინა, ცალკე ნოველების სახით ჩართულია საუცხოვო რომანტიკული ეპიზოდები, რომელნიც მაღალი ფეოდალური საზოგადოების თავისუფალ სქესობრივ სიყვარულს ხატავენ, თვით ნაწარმოების ავტორი კლერიკალურ-ასკეტური მორალის თვალსაზრისით მკაცრად ჰგმობს ამ თავისუფალ სიყვარულს.

მთელს ამ ლიტერატურას ახასიათებს გამძაფრებული ნაციონალისტური შეგნება, რომელიც ხანდახან თითქმის მესიანიზმში გადადის: ჰაბუკ მოღვაწეს, რომელიც შემდეგ სახელოვანი მთარგმნელი გახდა, ღვთისმშობელი გამოცხადების დროს ქართულად ესაუბრება, ქართული ენა ცხადდება არჩეულ ენად, რომელზედაც ღმერთი მთელს კაცობრიობას გაასამართლებს მეორედ მოსვლის დროს და სხვ.

ეს აგიოგრაფები შოთა რუსთაველის წინამორბედები არიან, არა იდეოლოგიით და მორალური შეხედულებებით, არამედ იმ ინტერესით, რომელსაც ისინი სინამდვილისადმი იჩენენ, ადამიანის სულის ცოდნით, ადამიანურ გულისთქმათა რეალისტური ასახვით. საშუალო საუკუნეების ქართველ რელიგიურ მოღვაწეების მსგავსად რუსთაველის მთავარი გმირიც უდაბნოში გარბის, მაგრამ მას სწვავს არა სარწმუნოების, არამედ სიყვარულის ცეცხლი, მის შეგნებაში ღვთისმშობლის კულტის ადგილი უკვე საყვარელი ქალის კულტს აქვს დაჭერილი.

თუ რუსთაველი ძველი ქართული ლიტერატურის ზოგიერთი ჟანრის ტრადიციის დამცველი და გამგრძელებელია, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მან ამ ლიტერატურის სრული რეფორმა მოახდინა. „ვეფხის ტყაოსანთან" შედარებით ძველი ქართული ლიტერატურის საუკეთესო ძეგლები დღეს მაინც არქაულად და ცალმხრივად გვეჩვენება. რუსთაველმა, უწინარეს ყოვლისა, სალიტერატურო ენა ხალხის სალაპარაკო ენას მიუახლოვა, ამით თავის პოემას გასაოცარი გამძლეობა მიანიჭა საუკუნეთა მანძილზე.

გადმოცემა ამბობს, განათლება მან ბიზანტიაში მიიღოო. ეს ადვილი შესაძლებელია. ის ამჟღავნებს ძველი ბერძენი ფილოსოფოსების ცოდნას, თუმცა მხოლოდ პლატონს ასახელებს; ეჭვს გარეშეა ის კარგად იცნობს ნეოპლატონიკოსებსაც. საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ მმართველები XII საუკუნეში ნიჭიერ ახალგაზრდებს კონსტანტინეპოლში გზავნიდნენ სასწავლად. ბიზანტიის უმაღლესი სასწავლებლის მსგავსად, საქართველოშიც გელათსა, იყალთოში დაარსებულ იქნა აკადემიები, სადაც სასულიერო საგნებს გარდა ჰუმანიტარულ მეცნიერებასაც სწავლობდნენ. თუ შოთას არ შეეძლო ბიზანტიელ ნეოპლატონიკოსების ლექციები მოესმინა, ყოველ შემთხვევაში ის ალბათ იცნობდა მანგანის აკადემიის ქართველი მოწაფეების, არსენი იყალთოელის, იოანე პეტრიწონელის და სხვ. შრომებს.

რუსთაველის გმირებიდან ნეოპლატონურ ფილოსოფიურ სპეკულიაციას ყველაზე უფრო თითქო ნესტან დარეჯანი უნდა იცნობდეს. როგორც ეტყობა, მის აღმზრდელს, ქაჯეთში დაქვრივებულ დავარს, მისთვის ელინური წარმართული სიბრძნის ყველა საიდუმლოება გაუცვნია. ქაჯეთის ციხიდან თავის რაინდს ის სწერს წერილს, ქალურად მგრძნობიარეს და სტოიკურს ერთსა და იმავე დროს; საერთოდ ესაა ნამდვილი ფილოსოფიური ტრაქტატი მიწიერი და ზეციერი სიყვარულის თემაზე, რომლის ავტორობა სათაკილო არ იქნებოდა არც ერთი იტალიელი ჰუმანისტისათვის რენესანსის ეპოქიდან.

ბევრად ნაკლებ ფილოსოფიურ ინტერესს იჩენს თვით ვეფხის ტყაოსანი რაინდი, მაგრამ ეტყობა მისთვისაც უცნობი არაა პლატონის და პროკლე დიადოხის იდეები, მაგრამ დიდი უკუღმართობა იქნებოდა რუსთაველი მწიგნობრ ნეოპლატონიკოსად მიგვეჩნია, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გმირები ნეოპლატონიკურ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას ხმარობენ. უკუღმართობა იქნებოდა აგრეთვე რუსთაველის პოემაში დაგვენახა მხოლოდ მხატვრული გაფორმება სამშობლოს სინამდვილის ფაქტებისა, ან საბერძნეთ-რომის მსოფლიოდან მომავალი იდეებისა. „ვეფხის ტყაოსანი" სინთეზს წარმოადგენს კლასიკური კულტურის, საშუალო საუკუნეების ქრისტიანული დასავლეთის და მუსულმანური აღმოსავლეთის ელემენტების. ეს მეტად ორიგინალური მხატვრული სინთეზი შესაძლებელი იყო მხოლოდ XII საუკუნეში, ე. წ. „ოქროს საუკუნეში", როცა საქართველოს ფეოდალურმა მონარქიამ უმაღლეს ძლიერებასა და ბრწყინვალებას მიაღწია, როცა ის მრავალერიანი სახელმწიფო გახდა, როცა მან თითქმის მთელი ტერიტორია დაიჭირა კავკასიის ქედსა და არზრუმის შორის, როცა ტრაპიზონის იმპერია, სომხეთი და შირვანი მასთან მეგობრულ ან ვასალურ ურთიერთობაში აღმოჩნდნენ. ვიწრო ნაციონალური და რელიგიური ზღუდეები გადალახულია, უმაღლეს არისტოკრატიაში ქართველების გვერდით სომეხ გრიგორიანები და მუსულმანები იწყებენ აქტიური როლის შესრულებას, ხშირად ხდება ქორწინება ქრისტიან პრინცებსა და მაჰმადიან მფლობელებს შორის და პირუკუ. არაბების საბოლოო დამარცხებისა და თბილისის საამიროს მოსპობის შემდეგ, დავით აღმაშენებელს სრულიადაც არ გამოუჩენია სარწმუნოებრივი შეუწყნარებლობა. პირიქით, როგორც ქართველი და არაბი ისტორიკოსები ამტკიცებენ, მან საგანგებო შენობაააგო მაჰმადიანი სუფიებისა და პოეტებისათვის, მათთვის სუბსიდიების გაცემა დაიწყო და არ ითაკილა პირადად დასწრებოდა მათს დღესასწაულებრივ სხდომებს, შესულიყო მათს მეჩითში. თუ ქართველი ახალგაზრდობა თეოლოგიასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებას ბერძნების სკოლებში სწავლობდა, მედიცინის და ასტრონომიის გაცნობა მას მეტის წარმატებით არაბების დახმარებით შეეძლო; ეს ნათლად სჩანს რუსთაველის პოემიდანაც, სადაც თითქმის ყველა მედიკური და ასტრონომიული ტერმინი არაბული წარმოშობისაა.

ქართველი ერის განთავისუფლებას რელიგიური და ნაციონალური კარჩაკეტილობისაგან და საერო პოეზიის აყვავებას, განსაკუთრებულად ხელი შეუწყო ირანული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების გაცნობამ გადმოთარგმნისა და გადმოკეთების შემწეობით; თვით ირანული ლიტერატურა სწორედ ამ ხანებში აღწევს განვითარების უმაღლეს წერტილს. „ტრისტანისა და იზოლდის" აღმოსავლეთური ვარიანტის—„ვისრამიანის" ქართული პროზაიკული თარგმანი ალბად „ვეფხის ტყაოსნის" დაწერამდე შესრულდა. მაგრამ როგორც „ვეფხის ტყაოსნის" ტექსტის ანალიზიდან სჩანს, რუსთაველს სცოდნია გურგანელი პოეტის რომანის ორიგინალი. ის ასახელებს „ვისრამიანის" მთავარ გმირებს, იქიდან თვით მხატვრულ სახეებსაც სესხულობს. ვისის (აგრეთვე იზოლდის) მსგავსად თინათინსაც საყვარელ რაინდთან შეხვედრის დროს ტიტველ ტანზე ყარაყუმის წამოსასხამი ასხია, რამინის მსგავსად ავთანდილი თავისი სიმღერით ქვებზეც კი ახდენს გავლენას, მეორე მხრით „ვეფხის ტყაოსნის" გმირების სიყვარული არ არის წმინდა ინტელექტუალური სიყვარული, მრავალ დაბრკოლებათა დაძლევის შემდეგ რუსთაველის ქალ-ვაჟნი მაინც ამ ქვეყანაში ერთდებიან. ეს მომენტი ქართველ პოეტს ანსხვავებს მეორე ირანელი პოეტისა, მისი სახელგანთქმული თანამედროვისა, ნიზამი განჯელისაგან.

ცხოვრების უდიდესი ნაწილი ნიზამიმ საქართველოს მეზობელ მუსლიმანურ სამეფოში გაატარა, ის შირვანელი შახების კარის პოეტი იყო. რუსთაველი კარგად იცნობს ნიზამის ერთ-ერთ მთავარ ნაწარმოებს, მის რომანტიკულ პოემას „ლეილ-მეჯნუნიანს": რუსთაველი ახსენებს კაენს, ეს იგივე ყაისი ანუ მეჯნუნია. ქართველ და ირანელ პოეტს ზოგიერთი მეორეხარისხოვანი მომენტი საერთო აქვთ: „ვეფხის ტყაოსანშიც" და „ლეილ-მეჯნუნიანში" შეყვარებულ ქალვაჟს დაბრკოლება ხვდება დედმამის მხრივ, აქაც და იქაც შეყვარებული ჭაბუკი უდაბნოში გარბის, მხეცებს შორის ცხოვრობს და სხვა, მაგრამ ნიზამის გმირებისათვის სრულიად უცხოა ის ძლიერი ზნეობრივი სტოიციზმი, რომლითაც რუსთაველმა აღჭურვა თავისი ვაჟები და ქალები, ეს უკანასკნელნი კიდევ უფრო მეტად, ვიდრე პირველნი. თინათინის, დარეჯანის და ასმათის პარალელობის აღმოჩენა ძნელია თვით იმდროინდელ ევროპულ ლიტერატურაში. არც „შაჰნამეში", არც ნიზამის რომანებში, არც, მით უმეტეს, შემდეგი დროის ირანულ ლიტერატურაში არ მოიპოვება ასეთი დიდბუნებოვანი ქალის ტიპები.

მართალია, რუსთაველის ბიოგრაფია არ შენახულა, მაგრამ თუ მისი პოემის მიხედვით განვსჯით, ის არ უნდა ყოფილიყო არც წმინდა მწიგნობრული შთაგონებით დაჯილდოებული და ვიწრო სენაკში მომწყვდეული სქოლასტი, არც უსახლკარო მენესტრელი, რომელიც ერთი მფარველის კარიდან მეორე მფარველის კარზე გადადის. უფრო საფიქრებელია, რომ ის იყო განათლებული დარდიმანდი, დარბაისელი კარისკაცი და მამაცი მხედარი ერთსა და იმავე დროს, კარგად გამობრძმედილი სასახლის პოლიტიკასა და ხმელეთისა და ზღვის ომში. ის კარგად იცნობს სამეფო დარბაზის ეტიკეტს. თავის პოემაში ის ხშირად სიყვარულით უბრუნდება ბრძოლის აღწერას, ამ შემთხვევებში მისი სტილი განსაკუთრებით ფერადოვანი და დინამიკური ხდება: მკითხველს თითქო ესმის საჭურველის ჩხარუნი და ცხენების თქარათქური, ის კარგად იცნობს ფეოდალური საზოგადოების ყველა პრივილეგიური წრის ცხოვრებასაც. მართალია, ის ათვალისწინებით ექცევა ვაჭრებს, როგორც ჯაბანთ და ომისთვის გამოუსადეგართ. მაგრამ შეუძლებელია მას ბურჟუაზიის ცოდნა წავართვათ; ზღვის სამეფო-გულანშარო საკმაოდ რეალისტური ფერადებითაა დახატული და მასში უსათუოდ იგულისხმება იმდროინდელ საქართველოსთან მოვაჭრე სახელმწიფო.

შოთა სრულიადაც თავისი მთავარი გმირების იდეალიზაციას არ ახდენს. ადამიანის სული წარმოადგენს არა უფერულ საქმეს, არამედ რთულ და მოულოდნელ წინააღმდეგობათა ნატიფ ქსოვილს. ვულგარული და ავხორციანი ფატმანის გულში ადგილი რჩება უანგარობისა და თავგანწირულობისათვის, კეთილშობილი და განათლებული ნესტანი კი, ეგოისტური მოტივების კარნახით, სრულიად გაუმართლებელ სიმკაცრეს იჩენს უდანაშაულო ხვარაზმელი უფლის წულის მიმართ. ტარიელი ხან თითქო ბედის წინაშე ქედმოხრილი და პასიურია, ხან ფიცხელი, გრძნობა მორეული და ვნებით ანთებული. არ შეიძლება ითქვას, რომ მეტოქის მოკვლა, რომელსაც მშვიდობიანად ეძინა თავის კარავში, სასიქადულო იყოს მისი ადამიანური ღირსებისათვის. ყოველ შემთხვევაში ეს საქციელი სრულიად ეწინააღმდეგება რაინდულ მორალს, რომელიც მოსწრებულად გამოსთქვა საშუალო საუკუნეების არაბმა პოეტმა: „ჩემი ტაიჯის ჰიხვინი შორს გაისმის უდაბნოში, მე შეჩვეული არა ვარ მტერთან ფარულად მიპარვას". რაინდული კოდექსის თვალსაზრისით ყოველთვის უძრახველი არ არის არც წინდახედული და გონიერი ავთანდილის ყოფაქცევა, ისიც ფატმანის ჩაგონებით ფარულად ჰკლავს მის ყოფილ საყვარელს და სჭრის ძვირფასი ბეჭდით შემკულ თითს. საერთოდ, ეს ადამიანები, პოეტის მიერ ასე სწორად და მიუდგომლად დახატულნი, თითქო უფრო ანდრონიკე კომნენის დროის

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

# „ოტელო“ რუსთაველის თეატრში

**დ. დემეტრაძე**

რუსთაველის სახელობის თეატრის მიმდინარე სეზონი გაიხსნა შექსპირის უკვდავი ტრაგედიით—„ოტელო“-თი.

შექსპირის უმდიდრესი მხატვრული მემკვიდრეობის კრიტიკულად ათვისება ყოველთვის წარმოადგენდა საბჭოთა თეატრის საპატიო ამოცანას. ცნობილია, თუ რა უდიდეს როლს ეკუთვნებდა ლენინ-სტალინის დიადი პარტია კლასიკური მემკვიდრეობის კრიტიკულად გამოყენების პრობლემას ახალი, სოცია-



იაგო — სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკ. ვასაძე.

ლისტური კულტურის შექმნის დროს. როგორც ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა, უკლასო სოციალისტური საზოგადოების ახალი კულტურა ცარიელ ადგილზე როდი იქმნება. მუშათა კლასი ახდენს მთელი იმ კულტურულ მიღწევათა გადამუშავებას, რომელიც კი კაცობრიობას წარსულში შეუქმნია.

პირსისხლიანი ფაშიზმი ბარბაროსულად ანადგურებს კაცობრიობას საუკეთესო მონაპოვართ კულტურის ყველა დარგში. მხოლოდ საბჭოთა კავშირი, იცავს და იყენებს მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის წარსულ ეპოქათა კულტურის დიად ძეგლებს; კლასიკური ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებები ფართო მშრომელი მასების კუთვნილებად ხდება.

კლასიკურ მემკვიდრეობაში შექსპირის პრობლემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. შექსპირმა უდიდესი მხატვრული სიძლიერით გამოხატა თავისი ეპოქის მოწინავე, პროგრესული იდეები. მთელი მისი შემოქმედება რენესანსის იდეებითაა გამსჭვალული. განუსაზღვრელია შექსპირის რეალიზმის ძალა, მისი უნარი სინამდვილეში ღრმა ჩაწვდომისა, უნივერსალიზმი—ცხოვრების პროცესების მთელ თავის მრავალფეროვნებაში მხატვრული მთლიანობით ჩვენება.

შექსპირმა, დიდის ხელოვნებით გადაგვიშალა თავისი დროის მებრძოლ პიროვნებათა უძლიერესი ვნებანი, გვიჩვენა მათი ამ ქვეყნიური, მიწიერი სახე და დაუპირისპირა იგი საშუალო საუკუნოებში გამეფებულ რეაქციულ - რელიგიურ მორალს ადამიანის შესახებ. მის მიერ შექმნილი ძლიერი ხასიათები მთელი სიღრმით გამოხატავდნენ მაშინდელ ეპოქას ყველა მის დამახასიათებელ მომენტებში.

„ოტელო“ დრამატურგიული ხელოვნების შედევრია პსიქოლოგიური ანალიზის სიძლიერით. რუსთაველის სახ. თეატრის წინაშე „ოტელოზე“ მუშაობის დროს მეტად რთული ამოცანა იყო დასმული. მას ოტელოს ოჯახური დრამა კი არ უნდა ეჩვენებინა, არამედ უნდა გაეხსნა შექსპირის დრამატურგიის სოციალური რაობა. თეატრს საკმაოდ დიდი მუშაობა ჩაუტარებია იმისათვის, რომ მოეცა მკვეთრ სცენიურ სახეებში ვენეციის საზოგადოების მაღალი ფენები. კარგად არის ნაჩვენები მოღლვარე სამხედრო ცხოვრება კვიპროსის კუნძულზე, ჯარისკაცთა წრე, ვენეციის თავადაზნაურთა წარმომადგენლები.

თეატრს განსაკუთრებულად დაუმუშავებია ტრაგედიის მთავარი გმირის—ოტელოს სახე. ოტელო—ჰარმონიულად განვითარებული პიროვნებაა, სავსე კეთილშობილებით. მასში მთელი სიმძაფრით იგრძნობა ცხოვრების სავსეობა. იგი აღორძინების ხანის დიდი ხასიათია, თავისი მძაფრი ადამიანური ვნებებით. ოტელო იღუპება, რადგან იგი მოხვდება მისთვის შეუფერებელ წრეში. შექსპირი გვიხატავს ძლიერი პიროვნების უდიდეს დრამას მაშინდელი საზოგადოების ღრმა სოციალური კონფლიქტების ფონზე.

ოტელოს ხასიათის გახსნის დროს, ცხადია, მთავარი არ არის ცოლის ღალატი, მოტყუებული ქმრის შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა. ოტელო ჰკლავს დეზდემონას იმიტომ, რომ დაიმსხვრა მისი იდეალი. დეზდემონა მავრისათვის განსახიერებაა აბსოლუტური პატიოსნებისა, სიმართლისა. მაშინდელმა სოციალურმა წრემ შეურაცხყო მისი რწმენა, მისი იდეალი. აქედან იწყება ოტელოს ტრაგედია. აქ არის მთავარი სოციალური კოლიზია, რომელიც იშლება შექსპირის ტრაგედიაში.

ოტელოს სწორედ ასეთი გაგება მოგვცა ა. ხორავამ. ა. ხორავას მიერ შექმნილი სცენიური სახე ოტელოსი ღრმად მოფიქრებულია და სწორად გადმოგვცემს მავრის ხასიათის მთავარ დამახასიათებელ მომენტებს. მან დიდის ოსტატობით განაცდევინა მაყურებელ დარბაზს გამოჩენილი სარდლის, პატიოსანი, კეთილშობილი მავრის ბუნება. ზოგჯერ მსახიობმა მეტად დარბილებულ ტონებში გადაგვიშალა ოტელოს პიროვნება. პირველად მსახიობმა გადმოგვცა ქარიშხალის მოახლოვების წინათგრძნობა, რათა შემდეგ ფინალში დიდის სიძლიერით აფეთქებულიყო. უკანასკნელი აქტი—დეზდემონას მკვლელობა—ა. ხორავამ ჩაატარა დიდის ექსპრესიით. ჩვენს წინაშე წარმოსდგა მრისხანე მავრი, რომლის იდეალი შეურაცხყო, გასთელა რეაქციულ-ფეოდალურ არისტოკრატიამ. მსახიობს გამოუყენებია თავისი მდიდარი შემოქმედებითი რესურსები, რათა შეექმნა ოტელოს ტრაგიკული, მღელვარე ნიღაბი.

იაგოს შესანიშნავი სცენიური სახე შექმნა ა. ვასაძემ. მისი იაგო სკულპტურულად გამოკვეთილია და დიდის ხელოვნებით განსახიერებული. ა. ვასაძემ გასაოცარი სიძლიერით გადმოგვცა ცინიზმი და ამორალური ბუნება იაგოსი, რომელიც თავისი კარიერის მოსაპოვებლად არავითარ ბოროტმოქმედებას არ ერიდება. შეურაცხყოფილი სამსახურებრივი ხაზით იგი აბამს ბოროტების ფართო ქსელს. ა. ვასაძის მიერ შექმნილი იაგოს სახე სცენიურად მეტად პლასტიკურია და განსახიერებული დიდის ტაქტითა და თანამიმდევრობით.

დანარჩენ შემსრულებელთა შორის აღსანიშნავია დეზდემონა, რომელიც საკმაო მხატვრული სიძლიერით განასახიერა მსახიობმა რ. ბერიძემ. ბიანკას მეტად მოკვეთილი სცენიური სახე შექმნა მსახიობმა ნ. ლაფაჩიმ. კარგი იყო დ. მჭავია კასიო და ვენეციელი პატრიცი—როდერიგო—ლ. ყაზაიშვილი.

მხატვარ ი. გამრეკელის მიერ მაღალი ოსტატობით შესრულებული დეკორაციები ხელს უწყობდა სპექტაკლის წარმატებას. კვიპროსის კუნძული, ჯერ განათებული მზით და შემდეგ დაფარული შავი ღრუბლებით, მშვენივრად გადმოგვცემს ტრაგიკული ფინალის მოახლოვებას.

რეჟისორ შ. აღსაბაძეს დიდი მუშაობა ჩაუტარებია, რათა გაეხსნა შექსპირის დრამატურგიის სოცია-



ოტელო — სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკ. ხორავა.

ლური რაობა. ჩვენი აზრით, ეს ამოცანა მას უმრავლეს შემთხვევებში წარმატებით გადაუჭრია და ჩვენ მივიღეთ მხატვრულად მაღალხარისხოვანი სპექტაკლი.

კომპოზიტორ ი. ტუსკიას მუსიკალური ილუსტრაცია შეეხამება ტრაგედიის კოლორიტს.

„ოტელოს“ დადგმა რუსთაველის თეატრის მორიგი გამარჯვებაა.



„ოტელო“ რუსთაველის თეატრში. სურათზე: მესამე და მეოთხე მოქმედების დეკორაცია, მხატვარი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ორდენოსანი ირ. გამრეკელი.

## 12 ოქტომბერს გაიხსნება

### ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა მე-6 საკავშირო ყრილობა

12 ოქტომბერს თბილისში გაიხსნება და 18 ოქტომბრამდე იმუშავებს ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა მეექვსე საკავშირო ყრილობა. ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტს თავმჯდომარეობს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ. ი. ბერიტაშვილი. კომიტეტის მდივანია დოც. ნ. ძიძიშვილი.

საორგანიზაციო კომიტეტი აცხადებს დაინტერესებული სამეცნიერო დაწესებულებების საყურადღებოდ, რომ ყრილობის სხდომებზე დასწრების მსურველთა სია უნდა გადაუგზავნონ საორგანიზაციო კომიტეტს 9 ოქტომბრამდე. სიაში უნდა აღნიშნონ დამსწრეების გვარი, სახელი, მამის სახელი, სამეცნიერო ხარისხი, თანამდებობა და მისამართი.

საორგანიზაციო კომიტეტი მოთავსებულია მარის ქ. № 1, ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, (ტელეფონი 3-32-46).

## საბავშვო სანატორიუმების გახსნა

1 ოქტომბერს თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილებამ საქ. შინსახკომის სკოლასთან გახსნა საბავშვო სანატორიუმი ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთათვის. სანატორიუმში 40 საწოლია. ბავშვები მიიღებენ კვალიფიციურ სამკურნალო დახმარებას სწავლისაგან მოუწყვეტლივ.

15 ოქტომბერს ასეთივე სანატორიუმი გაიხსნება თბილისის კონსერვატორიასთან. პირველ ხანებში ამ სანატორიუმში (სანამ კონსერვატორიის შენობის გაფართოვება დამთავრდებოდეს) მიიღებენ 15 ავადმყოფ ბავშვს.

ჯანმრთელობის განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს გახსნას ახალი დიდი სანატორიუმი რევმატიზმით დაავადებულ ბავშვთათვის.

# ალიოხინ—ეივე

### საჭადრაკო მატჩი მსოფლიო პირველობაზე

5 ოქტომბერს ჰოლანდიაში დაიწყო საჭადრაკო მატჩი—რევანში მსოფლიო პირველობაზე. დოქტორი მაქს ეივე იცავს მსოფლიო ჩემპიონის სახელს ალიოხინის წინააღმდეგ, რომელმაც ორი წლის წინათ დაჰკარგა ეს სახელი.

როგორც ცნობილია, ალიოხინმა ჯერ კიდევ 1935 წელს დაიწყო მზადება რევანშისათვის. თავდაპირველად თანხა, რომელიც საჭიროა მატჩისათვის, — 10 ათასი გულდენი, — გაიღო პანკანს - ოტელის დირექციამ, რომელმაც მოითხოვა, რომ მატჩი ჩატარებულიყო ზემერინგში (ავსტრია). მაშინ ჰოლანდიელმა მეწარმეებმა დაუყოვნებლივ გაიღეს ოთხი ათასი გულდენით მეტი იმ ანგარიშით, რომ მატჩი გათამაშებულიყო ეივეს სამშობლოში. მატჩის ორგანიზატორები იმდენად პატრიოტული მოსაზრებით არ მოქმედებდნენ, რამდენადაც კომერციული ანგარიშით.

ორივე მოწინააღმდეგე სერიოზულად ემზადებოდა მატჩისათვის. ალიოხინმა განაცხადა, რომ თავი დაანება ალკოჰოლს და ეწევა სისტემატურ სასპორტო ვარჯიშობას.

ალიოხინი აღნიშნავს, რომ ეივე საუკეთესოდ მომზადებულია თეორიულად. მაგრამ მიუხედავად ამისა ის ფიქრობს, რომ მისმა მოწინააღმდეგემ გასული წლების განმავლობაში ვერაფრით ვერ დაამტკიცა თავისი უპირატესობა სხვა გროსმეისტერებთან შედარებით. ალიოხინმა მედიდურად განაცხადა გაზეთებში, რომ მატჩს ჩაატარებს ისევე, როგორც 1927 წელს კაპაბლანკას წინააღმდეგ, ე. ი. წაართმევს ეივეს მსოფლიო ჩემპიონობას. საინტერესოა, რომ ალიოხინი, როგორც ეივე, მსოფლიო პირველობის შემდგომ კანდიდატად სთვლის არა ფლორს, არამედ კაპაბლანკას, შემდეგ კი გროსმეისტერ ბოტვინიკს.

[illegible] ალიოხინისაგან განსხვავებით, [illegible] დაწყებულ მატჩში ეივესთვის საკმარისი [illegible] წილის ყაიმს, რომ მსოფლიო ჩემპიონის სახელი შეინარჩუნოს. მაგრამ ამას ჰოლანდიელი გროსმეისტერი მნიშვნელობას არ ანიჭებს. მისი აზრით, ამსტერდამში ყაიმზე თამაში არ იქნება. მოსალოდნელია უმძაფრესი პარტიები და ყაიმის იმედად ყოფნა შეუძლებელია.

ეივე, რომელიც ბადენის ტურნირის მთავარი არბიტრი იყო, რამდენიმე დღის წინათ დაბრუნდა ამსტერდამში და თან ჩაიტანა მრავალი ახალი ვარიანტი. თავის სადებიუტო რეპერტუარს ეივე ამოწმებდა ვენის გროსმეისტერ გრიუნფელდთან ერთად.

სპეციალისტების აზრით, ეივე ძლიერია დებიუტში, ალიოხინი — მიტელშპილში. ენდშპილი ორივე გროსმეისტერს საუცხოო აქვს.

მატჩის მთავარი მსაჯია გროსმეისტერი მაროცი, ეივეს სეკუნდანტია გროსმეისტერი ფაინი, ალიოხინის სეკუნდანტი — გროსმეისტერი ელისკაზესი.

მატჩი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საჭადრაკო წრეებში. პირველი პარტია უნდა გათამაშებულიყო ჰააგაში.

მატჩი - რევანში 16 დეკემბრამდე გაგრძელდება.

## „ვეფხის-ტყაოსნის“ აკადემიური გამოცემა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ მიიღო „ვეფხის-ტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის ტექსტი, რომელიც დადგენილია რუსთაველის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ.

აკადემიური გამოცემის ხელმძღვანელობისათვის რუსთაველის საიუბილეო კომიტეტმა გამოჰყო სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ა. დუდუჩავა, დ. დემეტრაძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე და ი. აბულაძე.

„ვეფხის-ტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის ილუსტრაციები, რომლებიც შესრულებულია მხატვარ ირ. თოიძის მიერ, იბეჭდება მოსკოვში—„გოზნაკის“ სტამბაში.

წიგნის გაფორმება ეკუთვნის მხატვარ გრიგოლიას.

აკადემიური გამოცემა გამოვა საიუბილეო დღეებში.

## ფეხბურთი

### საქართველოს პირველობის გათამაშება

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი 6 ოქტომბრიდან ატარებს საქართველოს პირველობის გათამაშებას ფეხბურთში.

გათამაშებაში მონაწილეობს სულ 9 გუნდი. თბილისიდან „დინამოს“ (ოსტატთა დუბლიორები), „ლოკომოტივის“, „სახუნტის“, „ბურევესტნიკისა“ და „მშენებლის“ პირველი გუნდები, ოჩემჩირის „ისარი“ და ბათუმის, ქუთაისის, ფოთისა და სოხუმის ნაკრები გუნდები.

გათამაშება მიმდინარეობს ნახევრადოლიმპიური სისტემით (ორი დამარცხებით გუნდი შეჯიბრებიდან გამოდის).

დღეს, 6 ოქტომბერს, გათამაშების პირველ დღეს, თამაშობენ თბილისში: „დინამო“ — „ბურევესტნიკი“, ფოთში: ფოთი ოჩემჩირე და სოხუმში: სოხუმი — „სახუნტი“.

გუნდს, რომელიც ფინალში გაიმარჯვებს, მიეხიჭება საქართველოს 1937 წლის ჩემპიონის სახელწოდება.

## ახალი წიგნები

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა შემდეგი ახალი წიგნები: არჩილ ჩაჩიბაიას რომანი „გმირები“, წიგნი შეიცავს 290 გვერდს და ღირს 6 მან. 60 კ.; არისტო ჭუმბაძის „უნასთა ბუდე“, 150 გვ., ფასი 4 მან. 80 კ., ლევ ტოლსტოის რომანი „აღდგომა“; წიგნი შეიცავს 522 გვერდს და ღირს 12 მან. 50 კ.

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომამ“ ქართულ ენაზე გამოსცა დოცენტ დ. მ. მშვენიერაძის ახალი წიგნი „ნაშენთა ფუძეები“ წიგნი შეიცავს 279 გვერდს და ღირს 10 მანეთი.

## პარტკალენდარი

### ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

**7 ოქტომბერს.**

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია ა.-კ. რკ. გზ. III განყოფილების პროპაგანდისტებისათვის თემაზე: ბრძოლა მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნისათვის რუსეთში (პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ დაარსებიდან — 1883 წ. „ისკრის“ პირველი ნომრების გამოსვლამდე (1900-1901 წ. წ.).

კონსულტანტები — ქართ. ენაზე — ამხ. სიმონიშვილი, რუს. ენაზე — ამხ. ბოჟაძე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემებზე:

1) პრესაში მტრული მუშაობის ზოგიერთი მეთოდები.

კონსულტანტი რუს. ენაზე ამხ. ბლიაუ. დასაწყ. საღ. 8 ს.

2) კომუნისტური მორალის შთანერგვა.

კონსულტანტი რუს. ენაზე ამხ. მამიანი დასაწყ. საღ. 8 ს.

O

7 ოქტომბერს, საღ. 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში საქ. ალკკ აქტივისათვის შესდგება მოხსენება რუსულ ენაზე. თემა: „საბჭოთა სოციალისტური საარჩევნო კანონი“. მომხსენებელი გ. ელენტი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ე. ბედია

# შოთა რუსთაველი

### (დასასრული)

ბიზანტიელებს ჰგვანან, ვიდრე ფრანგ რაინდებს ან სალადინის თანამებრძოლებს.

ამ გარეგნული წინააღმდეგობის გასაგებად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ რუსთაველის გმირები ორი მსოფლიოს მიჯნაზე მდგომარე საზოგადოების წარმომადგენლები არიან, ისინი ერთი მხრით მიმავალ საშუალო საუკუნეებს ეკუთვნიან, ხოლო მეორეს მხრივ აღმოცენების პროცესში მყოფ ახალ საზოგადოებას, ჰუმანიზმისა და მსოფლიო მოქალაქეობის იდეებით.

ამ საზოგადოების მორალი ირყევა ყველა სტოიციზმისა და ჰედონიზმს შორის, მისი ინტერესი მიმართულია არა მარტო უმაღლესი ინტელექტუალური სიამოვნებისადმი, პოეზიისა, მხატვრობისა, რელიგიური ან ფილოსოფიური დისკუსიებისადმი, არამედ აგრეთვე სამხედრო ავანტურებისა, ნადირობისა, ასპარეზობისა, ნადიმისა, შორეული და სახიფათო მოგზაურობისადმი.

რელიგიური თავისუფალი აზროვნების მხრით, ამ საზოგადოებამ ბევრად წინ გაუსწრო მის თანამედროვე დასავლეთ ევროპულ და ბიზანტიურ საზოგადოებას. თუმცა ტარიელი და ავთანდილი გარეგნულად თითქო მუსლიმანები არიან, მაგრამ ისინი ისევე დაშორებული არიან ყოველივე ვიწრო და გონება შეზღუდული ორტოდოქსიას, როგორც მათი მოწინავე და განათლებული თანამედროვეები, მაგ. ბიზანტიელი და ქართველი ნეოპლატონიკოსები ან კიდევ ირანელი სუფისტები და პანთეისტები. ტარიელი დიდი ათვალისწუნებით ლაპარაკობს ყურანსა და მის კომენტარიებზე. ტარიელთან გაპარვის წინ ავთანდილი მეჩეთში ლოცულობს, მაგრამ ის მიმართავს არა ალლაჰს, არამედ კოსმიურ ძალას, რომელმაც მიჯნურობა წარმოშვა და მის კანონებს აწესებს. გზაში ის ჰიმნს მიუძღვნის მზეს. „ვის ხატად ღვთისად გიტყვიან ფილასოფოსნი წინანი“: მას შეიძლება, მარის თქმისა არ იყოს, მხედველობაში ჰქონდეს უძველესი კულტურიდან მომავალი სოლარული მონოთეიზმი, გაღრმავებული ნეოპლატონიკოსების მიერ, რომელთაც ხილული მზე არამატერიალური, გონებრივი მზის სიმბოლოდ გამოაცხადეს. ამავე ჰიმნში მთვარე მიჯნურობის სენის მომცემად არის გამოცხადებული. მეორე ასტრალურ ჰიმნში, რომელსაც იგივე ავთანდილი ხუთ პლანეტს უგალობს, მულლაზანზარის გზაზე, თავისებურადაა შეერთებული უძველესი ქალდეური წარმოდგენანი, პტოლომეოსის და ნეოპლატონიკოსების იდეები და ქართული ეროვნული წარმართობის მოგონებანი.

რაც შეეხება მთავარ ზნეობრივ ძალას, რომელიც „ვეფხის ტყაოსნის“ მიერ ასახულ საზოგადოებას აკავშირებს, მეგობრობა წარმოადგენს: ეს მეგობრობა გაგებულია სტოიკური ფილოსოფიის მიხედვით, ე. ი. როგორც სულიერი ნათესაობა, დამოუკიდებელი ნაციონალური და რელიგიური ზღუდეებისაგან. თვით ავთანდილი, როგორც ეს ნ. მარმა აღნიშნა, თავის მეგობრულ გრძნობას ტარიელისადმი უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე თავის სიყვარულს თინათინისადმი, იგი პირველს იაგუნდს ადარებს, ხოლო მეორეს მინანქარს. მაგრამ უანგარო მეგობრობის იდეა თავის უმაღლეს გამოხატულებას შეიძლება ასმათში პოულობდეს, რომელმაც ტარიელის გულისთვის დიდი ხნით დასტოვა ადამიანთა საზოგადოება და უდაბნოში გადაიხვეწა.

ბოლოს, ამ რაინდულ საზოგადოებას თავისი ნათლად გარკვეული პოლიტიკური იდეალებიც აქვს, მას მიაჩნია, რომ თვით ფეოდალიზმის ძირითადი საფუძვლები შეურყეველია, მხოლოდ მისი უკიდურესობანი შერბილებულ უნდა იქნან ჰუმანიური დამოკიდებულებით მონებისა და ყმებისადმი, საქველმოქმედო დაწესებულებებით ობლებისა, ქვრივებისა და ღარიბ-ღატაკებისათვის და საერთო კულტურული აღმშენებლობით.—რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უხსობდეს: მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს,—ამბობს პოეტი წინასიტყვაობაში. „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“, მიმართავს ტარიელი თავის თანამოლაშქრეთ სანამ ხატაელებს შეებრძოლებოდეს.

საერთოდ, შოთა რუსთაველის პოლიტიკური იდეებიც,—მისი რელიგიური, ფილოსოფიური და მორალური იდეების გვერდით, შეიძლება მოწინავედ ჩაითვალოს მისი დროისთვის, როცა მეფის ცენტრალურ ხელისუფლებას ბრძოლის წარმოება უხდებოდა ერის გასაერთიანებლად ფეოდალური თვითნებობისა და ანარქიის წინააღმდეგ.


ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის თეატრი 1937—38 წ. სეზონი

| | |
|---|---|
| 6/X წარმ. № 6 | ოტელო |
| 8/X | ოტელო |

სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

| | |
|---|---|
| 6/X წარმ. № 5 | სამანიშვილის დედინაცვალი |
| 9/X წარმ. № 6 | ფიგაროს ქორწინება |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 ს. საღ. 9 საათ. მოზრდილები 16 წლამდე არ დაიშვებიან. მოსწავლეებმა თან უნდა იქონიონ მოწმობა.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის თეატრი 1937—38 წ სეზონი
8 ოქტომბერს საქ. ა. ლ. კ. კ. მე-13 ყრილობის დელეგატებისათვის
ოტელო
დასაწყისი სრულ 8 საათზე.
საწილი ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში.
სალარო ღიაა 12—9 საათამდე. 2—1 35

ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
დარჩენილ ადგილებზე გამოშვებულია მუდმივი ადგილების შეღავათიანი ერთდროული ბილეთები
თითო 15 წარმოდგენიანი (15 ოპერა)
8 თვის განმავლობაში გადახდით.
დაკვეთები მიიღება როგორც დაწესებულებებისაგან, ისე მოქალაქეებისაგან თეატრის სალაროში ყოველდღე, 11—9 საათამდე. იქვე მიიღება დაკვეთების ბლანკები.
ტელეფონი: 3-60-64 და 3-03-47.
3—1 30 დირექცია.

სახცირკი—ტელ. 3-11-44
დღეს, 6 ოქტომბერს ორი წარმოდგენა
დღისით დასაწყისი 2 ს.
პირველი საბავშვო წარმოდგენა დილით. ერთი ბილეთით შედიან: ერთი სრულწლოვანი და ერთი ბავშვი 8 წლამდე, ან 2 ბავშვი 8 წლამდე.
საღამოს დასაწყისი 8 ს. 30 წ. 1-ლი ციკლის მრავალფეროვანი პროგრამა 3 განყოფილებად. სალარო 10-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.
7 ოქტომბერს დიდი წარმოდგენა.

გაიხსნა მოსამზადებელი კურსები სამედიცინო და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის.
პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღისა, საღ. 7 საათიდან 10 საათამდე.
მისამართი: კალინინის ქ., № 51, მე-3 სართული (რკინიგზის მე-5 სკოლა).
17398 დირექცია.

ა. დ. ქელენჯი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8 17278


აბასთუმნის სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლები იუწყებიან, რომ ა. წ. 4 ოქტომბერს აბასთუმანში გარდაიცვალა ობსერვატორიის მეცნიერ-თანამშრომელი ვარლამ მიხეილის-ძე გოდოკია დაკრძალვა სოფ. გეგუთში, ქუთაისის რაიონი.

## საქ. ადგ. მრეწველობის სახ. კომისარიატის ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნის ბალანსი 1937 წლის 1-ლი იანვრისათვის (ათას მანეთებში)

აქტივი | პასივი

| №№ რიგ. | ანგარიშების დასახელება | თანხა | №№ რიგ. | ანგარიშების დასახელება | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა | 1528 | 1 | საწესდებო ფონდი | 2130 |
| 2 | ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელობისა | 171 | 2 | რეზერვები | 16 |
| 3 | მარაგი მასალების, ნედლეულისა და სათბობისა | 163 | 3 | ანგარიშსწორებანი | 247 |
| 4 | ნახევარფაბრიკატები და დაუმთავრებელი წარმოება | 28 | | | |
| 5 | საქონელი, მზა ნაწარმი | 4 | | | |
| 6 | გასაყიდად გამოყოფილი საგნები | 1 | | | |
| 7 | ფულადი საშუალებანი | 1 | | | |
| 8 | ანგარიშსწორებანი | 28 | | | |
| 9 | მომავალი პერიოდის ხარჯები | 15 | | | |
| 10 | შინასაბალანსო ანგარიშსწორებანი | 12 | | | |
| 11 | საანგარიშო წლის დაგროვებანი | 445 | | | |
| | ბალანსი... | 2393 | | ბალანსი... | 2393 |

### 1936 წლის დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ზარალი საქონლისა და მზანაწარმის რეალიზაციით | 311 | 1. სხვადასხვა დაგროვებანი | 12 |
| 2. | სხვადასხვა დანაკარგები | 146 | | |
| | დაგროვების სალდო | — | დანაკარგების სალდო | 445 |
| | ბალანსი... | 457 | ბალანსი... | 457 |

დირექტორი თოთიბაძე. მთ. ბუხჰალტერი კეკელია.

ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის სახკომის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1588 საქ. ადგ. მრეწველ. სახ. კომ. საბუხჰალტრო ჯგუფის ხელმძღვანელი ჯანელიძე.

## საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1-ლის ბალანსი 1937 წლის 1-ლი იანვრისათვის (ათას მანეთებში)

აქტივი | პასივი

| №№ რიგ. | ანგარიშების დასახელება | თანხა | №№ რიგ. | ანგარიშების დასახელება | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა | 625 | 1 | საწესდებო ფონდი | 388 |
| 2 | ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელობისა | 25 | 2 | სპეცფონდები | 17 |
| 3 | მარაგი მასალების, ნედლეულისა და სათბობისა | 334 | 3 | რეზერვები | 11 |
| 4 | ნახევარფაბრიკატები და დაუმთავრებელი წარმოება | 162 | 4 | ანგარიშსწორებანი | 37 |
| 5 | საქონელი, მზანაწარმი | 24 | 5 | საანგარიშო წლის დაგროვებანი | 1.565 |
| 6 | გასაყიდად გამოყოფილი საგნები | 19 | | | |
| 7 | ფულადი საშუალებანი | 16 | | | |
| 8 | ანგარიშსწორებანი | 586 | | | |
| 9 | მომავალი პერიოდის ხარჯები | 71 | | | |
| 10 | განყენებული საშუალებანი | 135 | | | |
| 11 | შინასაბალანსო ანგარიშსწორებანი | 16 | | | |
| | ბალანსი... | 2.013 | | ბალანსი... | 2.013 |

### 1936 წლის დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | სხვადასხვა დანაკარგები | 117 | 1. დაგროვებანი საქონლისა და მზა ნაწარმის რეალიზაციით | 1.667 |
| | | | 2. სხვა დაგროვებანი | 15 |
| | დაგროვების სალდო | 1.565 | დანაკარგების სალდო | — |
| | ბალანსი... | 1.682 | ბალანსი... | 1.682 |

დირექტორი ხეჩანოვი. მთ. ბუხჰალტერი ნუხნუხიანი.

ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის სახკომის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1216 საქ. ადგილ. მრეწვ. სახ. კომ. საბუხჰალტრო ჯგუფის ხელმძღვანელი ჯანელიძე.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მბ. მოურავის— 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ხ. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული 3—3348